დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

(სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

გოგი თოდუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნიკოლოზ გურგენიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220373708

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯიხაშკარი
იურიდიული მისამართი	სოფელი ჯიხაშკარი, მერაბ კოსტავას ქუჩა N17
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ჯიხაშკარი, მერაბ კოსტავას ქუჩა N17
საფოსტო ინდექსი	2141
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1485?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Jikhashkari2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577628484

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 07 ივლისის N MES 9 23 0000845967 ბრძანება

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	9 და 10 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი (I-VI კლასები)	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯიხაშკარი, მერაბ კოსტავას ქუჩა N17
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო (VII-IX კლასები)	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი

				ჯიხაშკარი, მერაბ კოსტავას ქუჩა N17
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო (X-XII კლასები)	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯიხაშკარი, მერაბ კოსტავას ქუჩა N17

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლაში 2023 წლის 9 და 10 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი როგორც პირდაპირ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი), ასევე დისტანციურ ფორმატში (საგნობრივი ექსპერტები). ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტაციას. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ გარემოში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა შიდასასკოლო კონფერენციების მოწყობა, რომელსაც ორგანიზებას უწევენ მასწავლებლები და მასში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები. მასწავლებლების ინიციატივით სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი ,,ნორჩი მკითხველები'', ,,ცისარტყელა'', ,,ნორჩი მოანგარიშე'' და ეკოკლუბი ,,დედამიწა ჩვენია''. ასევე, კლასის დონეზე ხდება მშობელთა კომიტეტის წევრების არჩევა, რომელიც უზრუნველყოფს აქტიურ და მჭიდრო კავშირს დირექციას, მშობლებს, მოსწავლეებსა და დამრიგებელს შორის. მშობელთა კომიტეტის წევრები მონაწილეობენ ბავშვის განათლების, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 73 მოსწავლე. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, ბოლო წლებში შეინიშნება მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებისკენ და რაიონული ცენტრებისკენ, შესაბამისად, სტატისტიკურად მოსწავლეთ კონტიგენტი მიმართულია შემცირებისკენ. სკოლას არ აქვს ჩატარებული არანაირი კვლევა იმის თაობაზე, თუ რა განაპირობებს მომავალი 6 წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ სოფელ ჯიხაშკარში ასევე მდებარეობს მეორე სკოლა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლა, რომელშიც მოსწავლეთა რაოდენობა ასევე არ აღემატება 80 მოსწავლეს. სკოლის მატერიალური რესურსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას მოცემულ ეტაპზე არ გააჩნია 250 მოსწავლისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. სასწავლო პროცესისთვის ვარგის მდგომარეობაში სკოლას აქვს 100 მერხი, ხოლო სკოლაში დასაქმებულია 18 მასწავლებელი, რომელთა საათობრივი დატვირთვა არის სრული ან სრულზე მეტი. შესაბამისად, მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 100 მოსწავლით.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: ექსპერტთა ჯგუფმა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა სრული შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1(1)	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი ხედვა შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში (09.10.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N1.1.1(2)	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	შესაბამისობის გეგმით განსაზღრულ ვადაში, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს (09.10.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N1.1.1(3)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოს სკოლის მისიის (რევიზია), ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (09.10.2023 წ-მდე). სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება სკოლამ უზრუნველყოს ისე, რომ მასში შედიოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წევრი, კერძოდ მასწავლებლებისა და დირექციის გარდა შემუშავების პროცესში ჩართოს მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და სხვა პირები, რომლებიც შეძლებენ სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის თუ აზრის დაფიქსირებას, რაც შესაძლებელს გახდის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინებას.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N1.1.1(4)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (09.10.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N1.1.1(5)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული და დამტკიცებული ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (09.11.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N1.2.1(1)	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტის დამტკიცება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები (22.10.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N1.2.1(2)	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.12.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N1.2.1(4)	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ უზრუნველყოს შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინება სკოლის სამოქმედო გეგმაში, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.12.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N1.2.2(1)	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გათვალისწინება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (22.10.2023 წ-მდე).

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.1(1)	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	**სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (18.10.2023 წ-მდე) უზრუნველყოს:** 1. თანამდებობრივი ინსტრუქციების მარეგულირებელ დოკუმენტში დირექტორი და მუშის ფუნქციების ასახვა; 2. ექთნის ხელშეკრულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ექთნის შესაბამისი კომპეტენციების ასახვა.
ინდიკატორი N3.1.2(3)	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	**შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.10.2023 წ-მდე) სკოლამ უზრუნველყოს:** 1. 2020 წლის ივნისიდან სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება. 2. ერთი დამლაგებლის პირად საქმეში უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობების განთავსება.
ინდიკატორი N3.1.2(4)	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	**შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ უზრუნველყოს:** 1. დაწყებითი კლასების მასწავლებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმება (01.09.2024 წ-მდე); 2. თანამდებობრივ ინსტრუქციაში ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ასახვა (01.09.2023 წ - 28.12.2023 წ).

ინდიკატორი N3.3.1(1)	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.12.2023 წ-მდე), სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც გაწერილი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება/რევიზია).
ინდიკატორი N3.3.1(2)	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლამ უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.12.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N3.3.1(3)	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	სკოლამ დეტალურად განსაზღვროს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმები, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.12.2023 წ-მდე).
ინდიკატორი N3.4.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	**შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.05.2024 წ-მდე) სკოლამ უზრუნველყოს:** 1. შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის (შენობის მდგრადობის შესახებ) მოპოვება. 2. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის/სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე მიწერილობის მოპოვება; 3. საგანგებო შტაბის შექმნა და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება; 4. სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022

		წლის 21 მარტის №41/ნ/01-23 ერთობლივ ბრძანების შესაბამისად.
ინდიკატორი N3.5.1(2)	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	მატერიალური რესურსების სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადში (25.02.2024 წ-მდე) სკოლამ უზრუნველყოს: 1. ბიბლიოთეკარის მომსახურების უზრუნველყოფა; 2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავება; 3. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება.
ინდიკატორი N3.6.3(5)	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდზე სკოლის შესახებ სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი ინფორმაციის განთავსება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (09.11.2023 წ-მდე).
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N4.1.1(3)	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	სკოლამ ყველა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.09.2023 წ-მდე).

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1(1)	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა, კერძოდ:** 1. განახორციელოს თანამდებობრივ ინსტრუქციებში უკვე გაწერილი მოვალეობების გადახედვა და რეალურად შესასრულებელ ფუნქციებთან შესაბამისობაში მოყვანა; 2. დააკონკრეტოს და მკაფიოდ გაწეროს ანგარიშვალდებულების სისტემა ყველა დასაქმებულთან მიმართებთ; 3. შეიმუშაოს სააპელაციო კომიტეტის სამუშაო დებულება, ვინაიდან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სააპელაციო კომიტეტის საქმიანობის პრინციპებს;

		4. სტრუქტურა ჩამოაყალიბოს გრაფიკული ფორმით სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი დაქვემდებარების სისტემა.
ინდიკატორი N3.1.1(2)	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	საბიბლიოთეკო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში დაასაქმოს ბიბლიოთეკარი, რომელიც განახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის კატალოგიზაციას, დაცვას და საბიბლიოთეკო წარმოებას განახორციელებს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
ინდიკატორი 3.4.1(5)	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	**სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა:** 1. სავალდებულოდ შესასრულებელი ძალის მისანიჭებლად პერსონალური მონაცემების დაცვის წესი დაამტკიცოს შიდა აქტით; 2. სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრხოების სპეციალისტის მომსახურება და შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვა.
ინდიკატორი 3.5.1(4)	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას	სკოლას მიეცა რჩევა ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარის მომსახურებით
ინდიკატორი 3.5.1(5)	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)	სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს საბიბლიოთეკო ფონდი
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი 4.1.2(1)	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს და ერთიან წესად აქციოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც იქნება მკაფიო

	გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	და უფრო ნათელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული პროცესების განხორციელების წინაპირობებს
ინდიკატორი 4.2.1(1)	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი გაწეროს დეტალურად მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (პირველ სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1(1); 1.1.1(2); 1.1.1(3); 1.1.1(4); 1.1.1(5); 1.2.1(1); 1.2.1(2); 1.2.1(4); 1.2.2(1); 3.1.1.2;3.1.2.4. მესამე სტანდარტთან

მიმართებით - 3.1.1(1); 3.1.2(3); 3.1.2(4); 3.3.1(1); 3.3.1(2); 3.3.1(3); 3.4.1(1); 3.6.3(5); მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - 4.1.1(3);), ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ექსპერთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მითითებულ 3.1.2(4) ინდიკატორში მოცემულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლის არგუმენტირებულ პოზიციაში დაფიქსირებულ იქნა, რომ აღნიშნული ხარვეზი ნაცვლად ფიზიკის მასწავლებლისა მიემართება დაწყებითი კლასების მასწავლებელს, რომელსაც გააჩნია დიპლომი მასწავლებლის კვალიფიკაციით და არ აქვს სტატუსის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ვინაიდან არ აქვს ჩაბარებული საგნის გამოცდა. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში ასევე მიუთითა, რომ მასწავლებელი გეგმავს გამოცდის ჩაბარებას და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს 2024 წლის 01 სექტემბერს. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა აღნიშნული პოზიცია და ინდიკატორი 3.1.2(4) შეფასდა ,,მეტწილი'' შესაბამისობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მისია, რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან მასში ასახულია ისეთი დებულებები როგორიცაა: მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ზოგადი განათლების მისაღებად. სკოლის მისიად განსაზღვრულია მოსწავლეების გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, სახელმწიფოსა და ოჯახის წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში დახმარება. სკოლა მისიით აცხადებს, რომ შექმნის შრომისა და სწავლის მაღალ მოტივაციას, მეგობრობისა და პატივისცემის ატმოსფეროს და იზრუნებს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, მშობლებთან თანამშრომლობით შეძლებს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის სკოლის მისია, დამტკიცებულია 2022 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

   სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ ჰქონდა დამტკიცებული ხედვა, თუმცა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ხედვის შემუშავებული პროექტი. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის დირექციამ საჭიროდ ჩათვალა გადაიხედოს მოქმედი მისია და შემუშავდეს ხედვა. აღნიშნული მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ფილოსოფიის რევიზიის სამუშაო ჯგუფი, ჯგუფმა მისიისა და ხედვის შემუშავებისთვის გაწერა ეტაპები და როგორც დადგინდა დაწყებულია მუშობა.

   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.09.2023-09.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი ხედვა.

2. სკოლის მისიაში ასახულია, რომ შექმნის მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ხელსაყრელ გარემოს, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ზოგადი განათლების მისაღებად. სკოლის მისიად განსაზღვრულია მოსწავლეების გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, სახელმწიფოსა და ოჯახის წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში დახმარება. აქედან გამომდინარე, სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე. თუმცა, ვინაიდან სკოლას არ აქვს დამტკიცებული სკოლის ხედვა, მხოლოდ წარმოდგენილი ხედვის პროექტის საფუძველზე ვერ შეფასდება, ხედვით განსაზღვრავს თუ არა სკოლის როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.09.2023-09.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ხედვა, რომლითაც განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიის რევიზიისა და განახლების მიზნით. აღნიშნულ ჯგუფს დაევალა მისიის, ხედვისა და ღირებულებების რევიზიის გეგმის შემუშავება, მათ შორის მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა. სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია, რომლითაც განისაზღვრა, რომ შეიქმნებოდა მცირე დინამიური ჯგუფები, რომლებსაც მიეწოდებოდა ინფორმაცია კვლევის განხორციელების თაობაზე. კვლევის ჩატარება უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული კითხვარებისა და სვოტ ანალიზის გამოყენებით, ხოლო სკოლის დირექციას დაევალა პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავება. ამავე მეთოდოლოგიის თანახმად, ჯგუფის ხელმძღვანელი ვერბალური და წერილობითი სახით გაუზიარებდა შემუშავებულ პირველად ვერსიას სკოლის საზოგადოებას და აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღებდა უკუკავშირს. ჯგუფის ხელმძღვანელი უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე მოახდენდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსიის ფორმულირებას. ჯგუფის ხელმძღვანელი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებულ ვერსიებს შეათანხმებს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან და შეადგენს ოქმს. საბოლოო ვერსია განთავსებდა საინფორმაციო დაფაზე, ხოლო ვებ-გვერდის არსებობის შემთხვევაში გასაჯაროვდება სკოლის ვებ-გევრდზე. სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის შემუშავების დროში გაწერილი გეგმა 2023 წლის 15 მაისიდან 16 ივნისამდე, თუმცა ვერ წარმოადგინა მეთოდოლოგიაში გაწერილი მცირე ვერბალური ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის დამადასტურებელი მასალები და ვერც გეგმაში მითითებული სხვა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გაწეულ საქმიანობას. ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერებისას დაფიქსირდა, რომ საინფორმაციო დაფაზე და სართულებზე სკოლას გამოკრული აქვს მოქმედი მისია, რომელთან მიმართებითაც სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები მოქმედ მისიასთან დაკავშირებით (იქვე მითითებულია აზრის დაფიქსირების თაობაზე მოთხოვნა, განთავსებულია ცარიელი ფურცელი და კალამი). სკოლამ ასევე წარმოადგინა ხედვის პროექტი, თუმცა არ არის წარმოდგენილი ჯგუფების მიერ გაწეული მუშაობის დამადასტურებელი მასალები ოქმების ან შეხვედრის აქტების სახით. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ფილოსოფიის რევიზიის ჯგუფი შედგება სკოლის დირექტორის, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეების (პედაგოგები), სამეურვეო საბჭოს მდივნის (ამავე სკოლის პედაგოგი და ამავე დროს მშობელი) და მასწავლებლისგან.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.09.2023-09.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ სასკოლო

საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოს სკოლის მისიის (რევიზია), ხედვისა და ღირებულებების შემუშავება. სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება სკოლამ უზრუნველყოს ისე, რომ მასში შედიოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წევრი, კერძოდ მასწავლებლებისა და დირექციის გარდა შემუშავების პროცესში ჩართოს მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და სხვა პირები, რომლებიც შეძლებენ სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის თუ აზრის დაფიქსირებას, რაც შესაძლებელს გახდის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინებას.

4. სკოლის მოქმედი მისია ასახულია 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის საჯაროობასაც უზრუნველყოფს სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. სკოლის მისია ასევე გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინოდ, სხვადასხვა ადგილზე, რითაც უზრუნველყოფილია მისი გაზარება. თუმცა სკოლას არ აქვს ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია და არ იქნა წარმოდგენილი სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების დამადასტურებელი მასალები მათი შემუშავების ეტაპზე.

   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(4) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 04.09.2023-09.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება.

5. სკოლაში ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია გამოკრული საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სკოლის ხედვასა და ღირებულებებს, ვინაიდან აღნიშნული ჯერ არ იყო სკოლის მიერ დამტკიცებული და წარმოდგენილი იყო მხოლოდ პროექტების სახით, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა ექსპერთან ვიზიტის პერიოდისთვის არ დასტურდებოდა.

   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(5) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.10.2023-09.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს შემუშავებული და დამტკიცებული ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ". **ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, 1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სკოლის მოქმედი მისია;
3. დირექტორის ბრძანება ფილოსოფიის რევიზიისა და განახლების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (14.05.2023; N2-37);
4. სკოლის ფილოსოფიის რევიზიის გეგმა;
5. სკოლის ,,ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია";
6. პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 07 სექტემბრის ოქმი N2.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,სკოლის ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია'' და სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების დროში გაწერილი ეტაპები. მეთოდოლოგიად დასათაურებული დოკუმენტი მოიცავს დებულებებს, რომელიც უზრუნველყოფს გუნდური მუშაობის პრინციპებს. კერძოდ, მეთოდოლოგია ითვალისწინებს დინამიური ჯგუფების შექმნას, ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ კვლევის განხორციელების თაობაზე სამიზნე ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, კვლევის განხორციელებას ელექტრონული კითხვარებისა და სვოტ ანალიზის გამოყენებით. აგრეთვე ითვალისწინებს სკოლის დირექციის მიერ პედაგოგიურ საბჭოსთან თანამშრომლობით, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავებას. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის ფილოსოფიის საბოლოო ვერიის შეთანხმება განხორციელდება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. სკოლამ ასევე წარმოადგინა ფილოსოფიის რევიზიის გეგმა, რომელშიც აღწერილია, რომ რევიზიის ამოცანას წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადასინჯვა/შემუშავება და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გაწერა. თუმცა აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილია ერთჯერადად განსახორციელებელი აქტივობებისთვის და არ აქვს სისტემური ხასიათის დამტკიცებული დოკუმენტის სახე. სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი რომელშიც ასახული იქნებოდა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 02.10.2023-22.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტის დამტკიცება, რომელშიც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.

2. სკოლას არ აქვს სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული შვდიწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა დაწყებული აქვს ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგიის შემუშავებითა და სამუშაო ჯგუფის შექმნით, ასევე სამოქმედო გეგმის შედგენით, რომელშიც გაწერილია სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპები და ვადები, თუმცა ვიზიტის განმავლობაში ვერ იქნა წარმოდგენილი საბოლოო სახით ჩამოყალიბებული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.10.2023-22.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

3. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც შეესაბამება სკოლის 6 წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას. მასში ასახულია სტრატეგიული გეგმის შესაბამისი მიზნები და ამოცანები და გაწერილია 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი აქტივობები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, შემუშავდება ახალ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. **აღნიშნულიდან გამომდინარე 1.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას დამტკიცებული აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და ამოცანების შესაბამის აქტივობებს. გეგმაში ასევე მოცემულია კალენდარულ თვეებზე გაწერილი შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. გეგმაში არ არის მოცემული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელიც უზრუნევლყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(4) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.12.2023-30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინება სკოლის სამოქმედო გეგმაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ,,ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია'' და სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
2. ფილოსოფიის რევიზიის დროში გაწერილი გეგმა;
3. 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
4. ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის ,,ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია'' ითვალიწინებს, რომ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოხდება მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება/შერჩევა, მონიტორინგის შედეგების ანალიზი/შეფასება, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განვითარება/გადამუშავება. სკოლის ფილოსოფიის რევიზიის დროში გაწერილი გეგმა კი ითვალისწინებს სკოლაში არსებული სტრატეგიული გეგმის

მონიტორინგის სისტემის ანალიზს და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნას. აღნიშნული ეტაპების ინდიკატორებს წარმოადგენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმების მნიშვნელობა, თუმცა მასში არ არის ასახული თუ როგორ აპირებს სკოლა განახორციელოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი მომდევნო 7 წლის განმავლობაში, რა პერიოდულობით, ვის მიერ და რა ფორმით. სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.2(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 02.10.2023-22.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში სკოლამ უზრუნველყოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გათვალისწინება.**

2. *ვინაიდან სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*
3. *ვინაიდან სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*
4. *ვინაიდან სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფილოსოფიის რევიზიის მეთოდოლოგია;
2. ფილოსოფიის რევიზიის დროში გაწერილი გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექთანი, მასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი და მუშა. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებსა (გარდა დირექტორისა და მუშისა) და თანამშრომლებთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებთან გაფორმებული განახლებული ხელშეკრულებები, მათ შორის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად, გარდა ერთი უფროსი და ერთი მენტორი მასწავლებლის ხელშეკრულებებისა, რომელსაც სტატუსი მიენიჭა 2023 წლის აგვისტოში, აღნიშნული მასწავლებლების შვებულებაში ყოფნის პერიოდში. შესაბამისად, სკოლას განემარტა, რომ აღნიშნულ მასწავლებლებთან უნდა განაახლოს ხელშეკურლებები მინიჭებული სტატუსების შესაბამისად, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.
   დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები არ არის იდენტური. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწიებული ფუნქციების შესრულების ვალდებულებას. **შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს თანამდებობრივ ინსტრუქციებში უკვე გაწერილი მოვალეობების გადახედვა და**

რეალურად შესასრულებელ ფუნქციებთან შესაბამისობაში მოყვანა, ვინაიდან საჭიროებს დაზუსტებას. მაგალითად: დირქტორის მოადგილის თანამდებობრივ ინსტრუქციაში გათვალისწინებულია, რომ განიხილავს მასწავლებლის წლიურ სამუშაო კალენდარულ გეგმას, რომელიც ატვირთულია შესაბამის პლატფორმაზე, თუმცა მსგავსი პლატფორმა სკოლაში არ არსებობს. ასევე, მონიტორინგს უწევს სასწავლო ვირტუალური ლაბორატორიის მუშაობას და გამოყენებას, თუმცა სკოლას ვირტუალური ლაბორატორია არ აქვს. თანამდებობრივ ინსტრუქციაში არ არის გამიჯნული მასწავლებლის ფუნქციები სტატუსების შესაბამისად. დამრიგებლის ფუნქციებში გაწერილია მატერიალური საკლასო ჟურნალების წარმოების დებულებები. თანამდებობრივი ინსტრუქცია ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის მიერ შესასრულებელ ფუნქციებს, თუმცა აღნიშნული პოზიცია სკოლის საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული და ასეთ პოზიციაზე სკოლაში არ არის პირი დასაქმებული. ინსტრქუციის თანახმად, ტექნიკური და დამხმარე პერსონალი ექვემდებარება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ პირებში მითითებულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორიდნატორი და ბიბლიოთეკარი, რომლის საშტატო ერთეულიც სკოლაში არ არსებობს. გარდა ამისა, სკოლის საშტატო განრიგში მითითებული მუშის თანამდებობრივი ინსტრუქცია არ არის გათალისწინებული დამტკიცებულ ინსტრუქციებში.

თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ქვემდებარეობის და ანგარიშვალდებულების სისტემა, კერძოდ, დირექტორის მოადგილე ანგარიშვალდბულია დირექტორის წინაშე, ბუღალტერი, მასწავლებელი, საქმისმწარმოებელი, დამრიგებელი ვალდებულნი არიან დირექციის წინ აშე, დამლაგებლისა და დარაჯის ანგარიშვალდებულება განსაზღვრულია დირექციის და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის (რომელიც სკოლას არ ჰყავს) წინაშე, თუმცა ვინაიდან სკოლის საშტატო განრიგითა და სტრუქტურული სქემით დირექცია შედგება დირექტორის, მოადგილისა და ბუღალტრისგან, ბუნდოვანია კონკრეტულად ვის წინაშე არიან აღნიშნული პირები უშუალოდ ანგარიშვალდებულები და ვის წინაშე აგებენ პასუხს. გარდა ამისა, ინსტრუქციით არ არის განსაზღვრული ექთნის ანგარიშვალდებულება არცერთი ზემდგომი პირის წინაშე და ექთნის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ექიმის ფუნქციები. **შესაბამისად, სკოლას მიეცეს რჩევა დააკონკრეტოს და მკაფიოდ გაწეროს ანგარიშვალდებულების სისტემა ყველა დასაქმებულთან მიმართებთ. ხოლო, ვინაიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით ექთნისა და ექიმის კომპეტენციები და საკვალიფიკაციო**

მოთხოვნები განსხვავდება ერთმანეთისაგან, სკოლამ ექთნის ხელშეკრულებაში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში უნდა გაწეროს ექთნისთვის განსაზღვრული კომპეტენციები.

სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი გრაფიკული სრუქტურა, თუმცა სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა სტრუქტურული ერთეულების დაკომპლექტებისა და არჩევის პროცედურა.

სკოლის წარმომადგენლბის ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ხელმძღვანელობს ჯგუფის დებულებით, რომელშიც გაწერილია ჯგუფის მიერ შესასრულებელი ფუნქციები. **სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სააპელაციო კომიტეტის სამუშაო დებულება, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სააპელაციო კომიტეტის საქმიანობის პრინციპებს, ასევე სტრუქტურა ჩამოყალიბდეს გრაფიკული ფორმით სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი დაქვემდებარების სისტემა.**

მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით. როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.09.2023-18.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს თანამდებობრივი ინსტრუქციების მარეგულირებელ დოკუმენტში დირექტორისა და მუშის ფუნქციების

ასახვა. ასევე, ექთნის ხელშეკრულებაში უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ექთნის შესაბამისი კომპეტენციების ასახვა.

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

   როგორც აღინიშნა, სკოლაში არ არის დასაქმებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. **სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი (არ ითვალისწინებს საშტატო განრიგი).** სკოლში დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში წიგნების გაცემას ახორციელებს დირექტორის მოადგილე, თუმცა არ ხდება წიგნების გატანისა და დაბრუნების შესაბამისი წესით რეგისტრაცია. დირექტორის მოადგილე სკოლაში არის დასაქმებული ერთდროულად მასწავლებლადაც და აქვს ადმინისტრაციული ფუნქციაც, შესაბამისად, საბიბლოთეკო საქმიანობა სრუყოფილად ვერ ხორციელდება. **საბიბლიოთეკო საქმიანობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში დაასაქმოს ბიბლიოთეკარი, რომელიც განახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის კატალოგიზაციას, დაცვას და საბიბლიოთეკო წარმოებას განახორციელებს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.** სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ პირებში მითითებულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორიდნატორი და ბიბლიოთეკარი, რომლებიც სკოლას არ ჰყავს, შესაბამისად, ვერ დგინდება თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების იმ ნაწილის შესრულებაზე, რომელზეც განსაზღვრულია აღნიშნული პოზიციები.

   სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი უფლებამოსილების შესრულებით ახორციელებს მასწავლებლის მხარდაჭერას სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

   ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის'' ფარგლებში სკოლაში დასაქმებულია 7 პირი (2 დამლაგებელი, 1 დამლაგებლის დამხმარე, 1 მუშა, 1 ელექტრიკოსი, 1 მეეზოვე, 1 კარისკაცი). მათთან გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულება (სკოლას, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და დასაქმებულს შორის), რომელშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები და აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებული პირები ასრულებენ ფუნქციებს სკოლის სასარგებლოდ. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებული პირების მიერ სამუშაოს შესრულება სკოლას ეხმარება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

   შესაბამისად, 3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშტატო განრიგი;
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
3. 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი საქმოქმედო გეგმა;
4. თვითმმართველობის ქცევის კოდექსი;
5. შრომითი ხელშეკრულებები, მათ შორის ექთნის ხელშეკრულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულებების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების თანახმად, მასწავლებლის კონკურსში მონწილეობის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე პირებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ დამტკიცებულ წესში საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის კანდიდატის მოთხოვნები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის კანდიდატი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს სრული ზოგადი განათლება და შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ანდა სასპორტო პროფესიული განათლება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. სკოლის მიერ დამტკიცებული წესი კი აღნიშნულ ორ პირობას ადგენს ალტერნატიული წესით, რაც ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ რეგულაციებს. გარდა ამისა, სკოლაში მასწავლებლის მიღების შიდა წესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა აწესებს სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის და მულტილინგვური განათლების მასწავლებლობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო სკოლასთან გასაუბრებით დაზუსტდა, რომ ასეთი საგანმანათლებლო პროგრამა სკოლაში არ ხორციელდება.

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია როგორ ხორციელდება საკადრო პოლიტიკის დაგეგმვა, კადრების მოზიდვა და შერჩევა, სამუშაოს მართვა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. **სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების სამართლებრივი აქტი, შესაბამისად, იმისათვის, რომ აღნიშნულ დოკუმენტს მიეცეს შესასრულებლად სავალდებულო ძალა, საჭიროა დამტკიცდეს სკოლის შიდა აქტით.**

კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო სკოლის საკონკურსო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, მასწავლებლის მიღების წესით კი რაოდენობა განსაზღვრულია არანაკლებ 3 წევრისა. მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისიწნებული სავალდებულო წევრების ჩათვლთ. ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა ბოლო პერიოდში ჩატარებული კონკურსის მასალები, რომლიდანაც დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში კანონმდებლობის შესაბამისად არის გაწერილი საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების წესი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის შიდა მარეგულირებელი კონკურსის წესი**

(საკვალიფიკაციო მოთხოვნების და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების ნაწილში) **საჭიროებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის ნაწილში საჭიროებს სკოლაზე მორგებას.**

სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის 26 ივლისს დამტკიცებული თანამშრომელთა მიღების წესი, რომელიც არეგულირებს როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლების, ასევე მასწავლებლების სკოლაში მიღების წესს. სკოლის მიერ წარმოდგენილია კონკურსის წესები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილი საკონკურსო პროცედურა სხვადასხვაგვარად არეგულირებს კონკურსის ჩატარების წესს და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას საკონკურსო კომისიის დაკომპლექტებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნაწილში, კერძოდ, თანამშრომელთა მიღების წესში არ არის გათვალისწინებული სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის ვალდებულება 2020 წლის ივნისიდან დასაქმებულ პირებზე (გათვალისწინებულია მხოლოდ ზოგადი ნასამართლეობის ცნობა). **შესაბამისად, თანამშრომლის მიღების წესში უნდა დაკონკრეტდეს, რომ აღნიშნულით რეგულირდება თანამშრომლის (გარდა მასწავლებლისა) სკოლაში დასაქმების პროცედურები და კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვროს კონკურსანტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან და ადმაინური რესურსების მართვის პოლიტიკასთან.**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის დებულებები საჭიროებს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას, რადგან შინაგანაწესში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსში 2020 წლის სექტემბრის შემდეგ განხორციელებული ცვლილებები, მაგალითად არ შეიცავს დიკრიმინაციის ამკრძალავ დებულებებს, მითითება გაკეთებულია ძალადაკარგულ აქტებზე და სხვა. **შესაბამისად, შინაგანაწესი საჭიროებს განახლებას.**

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას პრაქტიკაში დანერგილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, შესაბამისად, 3.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილების არსებობის

შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. კონკურსის გამოცხადებისას დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც დასტურდება სკოლის მეერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციითა და teacherjobs.ge-ზე განთავსებული ვაკანსიებით.

სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც რეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტარციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში და გაცდენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება ფუნქციების შეთავსების კუთხით. სკოლის დირექციის განმარტებით ფუნქციების დორული გადანაწილებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობით განსაზღვრული წევრებისგან. სკოლას 2022 წელს გამოცხადებული ჰქონდა ექიმის ვაკანსია, თუმცა ვინაიდან ვერ შეირჩა კადრი, რომელიც დააკმაყოფილებდა კანონმდებლობთა და სკოლის მიერ დადგენილ საკმალიფიკაციო მოთხოვნებს, სკოლამ დაასაქმა შესაბამისი კალიფიკაციის მქონე ექთანი.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის წარმომადგენლები ფლობენ ინფორმაციას ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის პროცედურების შესახებ, თუმცა ვინაიდან აქამდე მსგავსი საჭიროება სკოლას არ ჰქონია და არ აქვს გამოცდილება, მომავალში საჭიროების დადგენისას გამოთქვა მზადყოფნა კონკურსი ჩაატაროს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები და 2020 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენილი მონაცემები სკოლაში დასაქმებული პირების შესახებ. შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის ივნისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული 3 თანამშრომლის (1 მასწავლებელი, 1 დამლაგებელი, 1 დარაჯი) პირად საქმეში არ არის განთავსებული უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, ხოლო 1 დამლაგებლის პირად საქმეებში არ იყო განთავსებული უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 07.09.2023-07.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს 2020 წლის ივნისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება. ასევე, ერთი დამლაგებლის პირად საქმეში უზრუნველყოს უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობების განთავსება.

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია 27 თანამშრომელი, მათგან 18 მასწავლებელია (13 უფროსი, 3 წამყვანი, 1 მენტორი 1 უსტატუსო). სკოლას ჰყავს დირექტორი (1), დირექტორის მოადგილე (1), ბუღალტერი (1), საქმისმწარმოებელი (1), ექთანი (1), დარაჯი (2), დამლაგებელი (2), მუშა(1). პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გარდა დაწყებითი კლასების მასწავლებლისა. აღნიშნულ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება უსტატუსოდ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის'' 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული რეგულაცია ძალაში იყო 2020-2021 სასწავლო წელს და ხელშეკრულება შესაძლოა გაგრძელებულიყო სკოლაში ვაკანსიის შევსებამდე, უკანასკნელი ხელშეკრულება კი დაწყებითი კლასების მასწავლებელთან გაფორმებულია 2022 წლის 15 სექტემბერს. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ

აღნიშნულ მასწავლებელს დიპლომით მინიჭებული აქვს მასწავლებლობის უფლება, მაგრამ არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21[3] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის, ,,ე'' პუნქტით განსაზღვრულია, რომ მასწავლებელს მინიჭებული უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული უნდა ჰქონდეს საგნობრივი კომპეტენცია. **შესაბამისად, სკოლაში დასაქმებული დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამდებობრივი ინსტრუქციით საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია ყველა პოზიციისთვის, გარდა დირექტორის მოადგილისა და ექთნისა (მუშის თანამდებობრივი ინსტრუქცია არ არის ასახული). **თანამდებობრივ ინსტრუქციაში უნდა გაწეროს ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**

სკოლაში დასაქმებულია მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. თუმცა, როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, აღნიშნულ მასწავლებელს სკოლაში დასაქმების მომენტისთვის უკვე მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2(4) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრის უზრუნველუოფასთან დაკავშირებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.09.2023-01.09.2024, ხოლო თანამდებობრივ ინსტრუქციაში ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრასთან დაკავშირებით - 01.09.2023-28.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს დაწყებითი კლასების მასწავლებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრის დასაქმება, ასევე თანამდებობრივ ინსტრუქციაში ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ასახვა.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპი დამკვიდრებული პრაქტიკაა სკოლაში. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზეც. მასწავლებლები ჩართულები არიან კურიკულუმების შექმნის პროცესში და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ურთიერთთანამშრომლობით სხვადსხვა კათედრაზე იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები. სკოლის

პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, მრჩეველთა საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, ხარისხიხს განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წვრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლაში მოქედებს ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტი.

შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. მაგალითად მიმდინარე სასწავლო წელს სტატუსი აიმაღლა ორმა მასწავლებელმა, რომელთა წარმატებაც გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოებასთან.

   სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვლის პოლიტიკა, რომელშიც ადამიანური რესურსების მართვის ციკლის ნაწილად გაწერილია სამუშაოს მართვა, რომელიც აერთიანებს შეფასების, დისციპლინური სასჯელისა და წახალისების პროცესებს. თანამშრომელთა მოტივაციის ზრდის მექანიზმად გამოყოფილია წახალისების შემდეგი ფორმები:

   ა) მადლობის გამოცხადება;

   ბ) სიგელით დაჯილდოება;

   გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

   დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

   მოტივაციის ზრდისა და წახალისების აღნიშნული ფორმები ასევე გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით სხვადსხვა საფუძვლის დადგომის შემთხვევაში.

   აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულება;

2. თანამშრომელთა მიღების წესი;
3. სკოლის შინაგანაწესი;
4. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
5. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
6. შრომითი ხელშეკრულებები;
7. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
8. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელი უკუკავშირები;
9. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშირის მიცემით, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. განხორციელებული შეფასებების საფუძველზე იგეგმება გაუმჯობესების გზები. სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემატიურ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. აღნიშნულ დოკუმენტში შეფასების ფორმებად გაწერილია შეფასება უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება, კრიტიკული შემთხვევები და სამუშაო სტანდარტები, ხოლო შეფასები ეტაპებად სკოლა მოიაზრებს დაგეგმვას, თვითშეფასებას, გასაუბრებასა და საბოლოო შეფასებას. შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან საქმოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებლების პროფესიული განვითარება როგორც სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი აქტივობები (პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება), ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/ სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა).

   ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, 3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. *ვინაიდან ხორციელდება პირველადი დავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.*
3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პოლიტის მიხედვით, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. სტატუსის ამაღლებისათვის სავალდებულო აქტივობის ფარგლებში, პორტფოლიოების წარმოებასთან დაკავშირებით, სკოლამ მასწავლებლებს დაუფინანსა ტრენინგკურსი ,,მასწავლებლის პორტფოლიო''. 2023 წლის ზაფხულში, პორტფოლიოების

შეფასების შედეგად ორმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი. გარდა ამისა, სკოლის პედაგოგები აქტიურად ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სერტიფიკატები და ცნობები. შესაბამისად, სკოლის მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯები პოზიტიურად აისახება სკოლის თანამშრომლების კარიერულ წინსვლაზე. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმს. სკოლის მიერ შერჩეული პირის მიერ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენისთვის სკოლა მნიშვნელოვნად თვლის, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე შემდეგი ეტაპების გავლით:
    - მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ;
    - შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი;
    - „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის მიზნით, სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს და ამ მიზნით შესაძლოა მოწყოს ექსკურსია, გამოყოს მენტორი თანამშრომელი და სხვა. **შესაბამისად, დგინდება, რომ 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად გათვალისწინებულია: სიგელი, ფულადი ჯილდო, შექება, ფასიანი საჩუქრების გადაცემა. სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თანამშრომელთა წახალისებისა და მასტიმულირებელი სისტემის ამოქმედებას. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას დააყენონ ინიციატივები, იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი გრძნობენ მხარდაჭერას დირექციის მხრიდან. აღნიშნული მხარდაჭერის შედეგებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2022 წლის დეკემბერში სკოლის დირექციის ხელშეწყობით, განხორციელდა კოლეგებთან შეხვედრა თემაზე სასწავლო რესურსების შექმნა და გამოყენება სასწავლო პროცესში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სკოლის 14 მასწავლებელი. შეხვედრის მიზანი იყო მასწავლებელთა ინტერესთა სფეროს გაფართოება, მოტივაციის ამაღლება ისტ-ის მიმართულებით, ისტ-ის უნარ-ჩვევების განვითარება და სასწავლო რესურსების შექმნა. **აღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
3. სატრენინგო მომსახურების ხელშეკრულება;
4. ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
5. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის გეგმა;
6. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
7. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები და უკუკავშირები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, შესაბამიად, ვერ დგინდება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება თუ არა პროცესულ მიდგომებს, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას მოიაზრებს. სკოლას არ აქვს მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გაწერილი თუ როგორ არის ორგანიზებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები.
   სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.09.2023-30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება, რომელშიც გაწერილი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება/რევიზია).
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, თანამშრომლის მიღების წესი, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები მწირი და ხარვეზიანია. საჭიროა სკოლამ სრულყოფილად შეიმუშაოს მარეგულირებელი დოკუმენტაცია და აღმოფხვრას არსებული ხარვეზები, სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სკოლამ

მკაფიოდ და ნათლად უნდა გაწეროს კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 02.10.2023-20.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა.

3. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი. შინაგანაწესში ასევე ასახულია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა არ არის გაწერილი რას გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები, კერძოდ, არ არის განმარტებული როგორ ხდება საჩივრის მიღება, დასაშვებად ცნობა, განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და გაცნობა. სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ჩანაწერს, რომ მასწავლებელს, აგრეთვე მშობელს და მოსწავლეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის არამართლზომიერი გადაწყვეტილებები და ქმედებები კანონმდებლობით დადგენილი წესით. შინაგანაწესსა და ხელშეკრულებებში მოცემული დებულებები შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი რეგულაციებით და ბუნდოვანია განმცხადებელმა/საჩივრის ავტორმა თუ რა ზომებს უნდა მიმართოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზებისთვის. გასაჩივრების პროცედურები უნდა იყოს დეტალური და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მარტივად აღსაქმელი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.09.2023-31.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ დეტალურად განსაზღვროს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმები.

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისიცპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას შიდა რეგულაციებითა, რაც გარანტირებული აქვთ ზოგადი განთლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავით. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან

გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
3. თანამშომელთა ხელშეკრულებები;
4. მოსწავლეთა საჩივრების ბუკლეტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა ბრძანებებით დარეგულირებული საკითხებისა და დამტკიცებული დოკუმენტების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას უზრუნველყოფს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი, მოსწავლის მიღების წესი და ეტაპები, მოსწავლის ქცევის კოდექსი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს ინფორმაციის განსათავსებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმებით, კლასების დამრიგებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, რომლებზეც მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას,

სახელმძღვანელოების ნუსხას, სხვადასხვა უწყებების ტელეფონის ნომრებს, ასევე, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. მეოთხე კლასის ბოლოს მშობელთა კრებაზე დაფიქსირებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება მეორე უცხოური ენის შეთავაზება მომდევნო წლიდან. მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით, რიღაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგდოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული დასტურდება **სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მასწავლებლის, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის წევრობით.** სამეურვეო საბჭო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სკოლის ბიუჯეტთან, დისციპლინური კომიტეტის არჩევასთან, სააპელაციო კომიტეტის არჩევასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

   პედაგოგიურ საბჭოში და საგნობრივ კათედრებში მასწავლებლების ჩართულობით უზრუნველყოფილია პედაგოგების მონაწილეობა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა.

   დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის ჩართულობით უზრუნველყოფილია მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება. **მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია** წარმომადგენლობითად სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან **(პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეები, დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრსი წარმომადგენელი, რომლებიც თანამონწილეობით იხილავენ** სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს. გარდა ამისა, მშობელთა კრებებზე იხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და ხდება მათი აზრის დაფიქსირება.

   ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
2. მშობელთა კრების ოქმები;
3. თვითმმართველობის ქცევის კოდექსი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა, სკოლა შემოღობილია და შენობას გარეშე პირთა გადაადგილებისგან იცავს 2 დარაჯი ღამის საათებში, ხოლო დღისით შემოსასვლელ კარს აკონტროლებს კარისკაცი. სკოლას არ ჰაყვს მანდატური, თუმცა ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ მიმართა მანდატურის სამსახურს შესაბამისი მოთხოვნით, თუმცა აღნიშნულზე მიიღო უარი. უარის წერილით სკოლამ მიიღო მითითება, რომ მიმართვა განხორციელებულიყო დადგენილი წესით, თუმცა სკოლას განმეორებით აღარ მიუმართავს მანდატურის სამსახურისთვის. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით და მეტალოდეტექტორით. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილება დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით, შესაბამის ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ.

შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, ასევე მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევისა და მათი აღმოფხვრის თაობაზე, თუმცა სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელზე გაგზავნილი წერილი აღნიშნული დასკვნის შედგენის თაობაზე.

ასევე, სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ).

სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და არ აქვს შექმნილი საგანგებო შტაბი, თუმცა სკოლამ წარმოადგინდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი წერილი, რომლითაც ითხოვა კონსულტაციის გაწევა გეგმის შედგენასთან დაკავშირებით.

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად და აწარმოებს საჭირო ინფორმაციის აღრიცხვას სპეციალურ ჟურნალში. როგორც დათვალიერებით დადგინდა, სამედიცინო კაბინეტში არ არის შირმა, კომპიუტერი, სპეციალური ცხრილი მხედველობის შესამოწმებლად, ხელის სანათი, კისრის ფიქსატორი, გადაუდებელი დახმარების ჩანთა, სხვადასხვა ზომის სტერილური საფენები და არ არის მოწყობილი ხელსაბანი ნიჟარა. ასევე არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი საჭირო მედიკამენტები, თუმცა დირექციამ მედიკამენტები სიმცირე ახსნა არდადეგების არსებობით და გასაუბრებისას განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელდება სამედიცინო კაბინეტის ყველა ინვენტარითა და მედიკამენტით აღჭურვა.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შესაბამისად, არ აქვს დანერგილი შრომის უსაფრთხოების სისტემა, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. **სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღება.**

ვინაიდან სკოლაში ვიზიტის პროცესში ფაქტობრივად ირიცხებოდა 73 მოსწავლე, ხოლო ავტორიზაციის განაცხადი გაკეთებულია 250 მოსწავლეზე, სკოლაში რეკომენდირებული სამედიცინო პერსონალის ფარგლებში სკოლას უნდა ჰყავდეს

1 ექიმი, ხოლო ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. სკოლამ წარმოადგინა ექიმის კონკურსის გამოცხადებისა და ჩაშლის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის საფუძველზეც აყვანილ იქნა ექთანი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.09.2023-31.05.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის (შენობის მდგრადობის შესახებ) მოპოვება, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის/სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე მიწერილობის მოპოვება, საგანგებო შტაბის შექმნა და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, სამედიცინო კაბინეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23 ერთობლივ ბრძანების შესაბამისად აღჭურვა.

2. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ წესრიგს. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით" და განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას. სკოლას შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და კონტროლზე პასუხიმსგებელი პირის შესახებ ინფორმაცია.

   სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის.

   შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში. კერძოდ, სკოლა სხვადასხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო გზით ავრცელებს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებაში, რომ მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის,

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა. აღნიშნული უწყებების ნომრებს ასევე დამრიგებელი მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. აღნიშნული პირის ტელეფონის ნომერი გამოკრულია თავლსაჩინო ადგილზე.

შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას ურუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარურლი რესურსების გამოყენებით. სკოლაში დასაქებულია სულ 5 დამლაგებელი, მათ შორის სოციალური პროგრამის ფარგლებში 2 დამლაგებელი და 1 დამლაგებლის დამხმარე, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში. როგორც გასაუბრებით დადგინდა, სკოლა ფლობს ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'') შესაბამისად დალაგების პირობების თაობაზე, რაც ასევე დასტურდება დამლაგებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი ვალდებულებებით. სკოლას აქვს წყლის მარაგებისთვის რეზერვუარი. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები არ იყო განთავსებული ისეთ სივრცეში, რომელიც ნიავდება ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციით, რაზეც სკოლამ გაატარა მყისიერი რეაგირება. ვიზიტის დროს სკოლას გაგზავნილი ჰქონდა სასმელი წყალი ბაქტერიოლოგიურ კვლევაზე.

   სკოლის ექთანი ზედამხედველობს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები მამაკაცებისა და ქალებისთვის, გოგონებისა და ვაჟებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). **აღნიშნულიდან გამომდინარე. 3.4.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ''. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომელშიც განსაზღვრულია ინფომაცია, რომელიც სკოლაში მუშავდება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია სამუშაო სახით (არ არის დამუშავებული მე-11 მუხლში ასახული ინფორმაცია მონაცემების შენახვის ვადის თაობაზე) და **სკოლას მიეცა რჩევა**

სავალდებულოდ შესასრულებელი ძალის მისანიჭებლად დაამტკიცოს შიდა აქტით. სკოლას არ აქვს გაწერილი პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მაშინ როდესაც სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირდი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დაცვა წერია სკოლის უფლებამოსილებებში და არა ვალდებულებებში. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, სოციალურ ქსელში მოსწავლეების აქტივობების თაობაზე ინფორმაციის განთავსებისას ინდივიდუალურად ითხოვენ მშობლისგან წერილობით თანხმობას, რის შემდეგაც განათავსებენ ინფორმაციას საჯაროდ. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ახალი სასწვლო წლის დასაწყისში განაახლებენ ხელშეკრულებებს და გაწერენ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით უფლბა-მოვალეობებს, რომელზეც მშობელი ხელმოწერით დააფიქსირებს თანხმობას. **შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1(5) დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი ადგენს თუ როგორ ახორციელებს სკოლა მონაცემების დაცვას. **შესაბამისად, დგინდება, რომ ინდიკატორი 3.4.1(6) დაკმაყოფილებულია.**

7. ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დარაჯის ხელშეკრულება;
2. შინაგანაწესი;
3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მომზადების თაობაზე;
4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებაში კონსულტაციის გაწევის მოთხოვნის თაობაზე;

5. ექთნის ხელშეკრულება;
6. საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
7. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
8. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები; მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა;
9. რეფერირების ინსტრუქცია და რეფერირებაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება;
10. დამლაგებლის ხელშეკრულება;
11. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (სამუშაო ვერსია) და პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
12. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 15038 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. სკოლის შენობა არის ახალი რეაბილიტირებული. ფაქტობრივი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შენობა შედგება სასწავლო კორპუსისგან (2 ნაწილი) და საქვაბე შენობისგან. საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება 7 შენობა-ნაგებობა (მათ შორის არის ღია სპორტული მოედანი და საქვაბე), შესაბამისად, საჯარო რეესტრის ამონაწერი (მომზადებულია 20.02.2020) ფაქტობრივ მდგომარეობასთან და აზომვით ნახაზთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, ვინაიდან 2023 წლის 17 ივლისს მომზადებულ აზომვით ნახაზში ფიქსირდება მხოლო 2 შენობა, სკოლის სასწავლო კორპუსი და საქვაბე ნაგებობა, რომელთა საერთო ფართია 2098.69 კვ.მ. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებითა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ვებ გვერდზე გადამოწმებისას დადგინდა, სკოლას უკვე მიმართული აქვს ამონაწერის ცვლილების მოთხოვნით.
   სკოლის სასწავლო კორპუსის ძირითადი ნაწილი სამ სართულიანია, რომელიც დერეფნით უკავშირდება მეორე - ერთ სართულიან შენობას. სკოლის ძირითად სასწავლო კორპუსში განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, რესურსოთახი, 12 საკლასო ოთახი (ბუნებრივი განათებით), კაბინეტები (მათემატიკის, ქართულის, ბიოლოგიის, რუსული ენის, ინგლისური ენის), სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი (ამ ეტაპზე არ ჰყავს მანდატური, თუმცა სკოლას აქვს ამის სურვილი და აცხადებს მზაობას), სამეურნეო სათავსოები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (საპრეპარატო ოთახით). მეორე

ნაწილში განთავსებულია სპორტული დარბაზი სპორტული ინვენტარის სათავსოთი, სპორტის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, მუსიკის ოთახი, გასახდელები (გოგონების და ვაჟების ცალ-ცალკე) და საპირფარეშოები. საპირფარეშოები განთავსებული ყველა სართულზე გოგონებისა და ვაჟებისთვის და მასწავლებლებისთვის, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშო განთავსებულია შენობების ყველა სართულზე. სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი. სკოლას აქვს გამწვანებული და კეთილმოწყობილი შიდა ეზო. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სკოლას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად და ლიფტი. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, კარადებით. სააქტო დარბაზში არის სკამები, მუსიკალური ინსტრუმენტი და სცენა, რომლებიც გამოიყენება ღონისძიებებზე. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაჩინოებებით და სხვა ნივთებით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ხელსაბანი ნიჟარები და უზრუნველყოფილია წყლით. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი სავენტილაციო სისტემა, თუმცა არ არის დამონტაჟებული გამწოვი კარადა, რომლის გარეშეც აკრძალულია გარკვეული ცდების ჩატარება. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი: კალათბურთის ფარი, ჩოგბურთის მაგიდა, ფეხბურთის კარი, შვედური კედელი. სკოლა აღჭურვილია 15 ლეპტოპითა და 4 პერსონალური კომპიუტერით.

სკოლის ინვენტარიზაციის მასალებით დადგინდა, რომ ბალანსზე არსებული რაოდენობა შეადგენს 204 ერთეული მერხს, თუმცა სკოლის ბუღალტერთან გასაუბრებით და ინვენტარიზაციის მასალებით ასევე დადგინდა, რომ სასწავლო პროცესისთვის ვარგის მდგომარეობაში არის 100 მერხი. სკოლას ავტორიზაციის განაცხადი წარდგენილი აქვს 250 მოსწავლეზე. შესაბამისად, დგინდება, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროისთვის სკოლა მზაობას აცხადებს იმდენ მოსწალეზე რამდენი მერხიც ვარგის მდგომარეობაში ერიცხება ბალანსზე.

სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა არ ფუნქციონირებს, რადგან ბუნებრივი აირი ამ ეტაპზე არ მიეწოდება სოფელს. შესაბამისად, გამოიყენება ელექტროგამათბობლები.

სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მხატვრულ ლიტერატურას. წიგნადი ფონდი მოძველებულია, მწირია და საჭიროებს განახლებას.

სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი.

შესაბამისად, 3.5.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი და გამოყენების განრიგი.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამოკრულია ქიმიის კაბინეტში უსაფრთხოდ მუშაობის წესი. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესების შესახებ.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, შესაბამისად, ბიბლიოთეკით სარგებლობისას მოსწავლეები მიმართავენ დირექტორის მოადგილესა და კლასის დამრიგებელს. **სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, არ ჰყავს ბიბლიოთეკარი და სკოლამ ვერ წარმოადგინა საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი.**

როგორც მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს. აღნიშნული დასტურდება სასკოლო კურიკულუმებში გაწერილი აქტივობებით და სკოლაში ჩატარებული კონფერენციებითაც.

სკოლაში არსებული რესურსოთახი სრულადაა აღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და რესურსით (ამ ეტაპზე სკოლას არ ერიცხება სსსმ მოსწავლე ან შშმ პირი). სკოლას აქვს შესაბამისად მოწყობილი კეთილმოწყობილი სამასწავლებლო.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 02.10.2023-25.02.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკარის მომსახურების უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შემუშავება და საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება.

3. სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები. რესურს ოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლს ამ ეტაპზე არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, თუმცა სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე, აქვს პანდუსი (პირველ სართულზე) და ლიფტი, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ყველა რესურსით სარგებლობას (ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო). **შესაბამისად, 3.5.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, სადაც იმართება აქტივობები. სკოლა ღონისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სააქტო დარბაზს. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს საშუალება აქვთ რეკრეაციულ სივრცეში დაისვენონ. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი

კომუნიკაციის უნარების განვითარებას. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი, თუმცა სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც მოსწავლეებს შესაბამისი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში გაუწევს დახმარებას. სკოლას მიეცეს რჩევა ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარის მომსახურებით.

ვინაიდან დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, 3.5.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. სკოლა მოსწავლეებს პირველი კლასიდან გადასცემს პორტაბელურ კომპიუტერებს.

სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები:

✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;

✓ დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სკოლას ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს სასკოლი სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. თუმცა სკოლაში არსებული წიგნადი ფონდი გასაახლებელია და სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა საჭიროებებს. **შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს საბიბლიოთეკო ფონდი.**

ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, შესაბამისად, 3.5.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აზომვითი ნახაზი;
2. საინვენტარო აღწერილობის აქტები;
3. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი;
4. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება სახელმძღვანელოების გადაცემის თაობაზე;
5. სკოლაში განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფლობს კომპიუტერულ ლაბორატორიას. კომპიუტერული ტექნიკა შედგება 19 კომპიუტერისგან, მათ შორის, სკოლას აქვს 4 პერსონალური და 15 პორტატული კომპიუტერი. სკოლას აქვს 1 პროექტორი და 1 პრინტერი. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა, რომელშიც გაწერილია ტექნიკითა და ლაბორატორიით სარგებლობლის პირობები. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუებითაც. **შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა**

უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და 3.6.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის, რასაც ადასტურებს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი და ინტერვიუები. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. მასწავლებლების აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სკოლის ლეპტოპებით განრიგის შესაბამისად. კომპიუტერებით სარგებლობის განრიგის შედგენასა და განრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას. ასევე, მასწავლებლები სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას. როგორც მასწავლებელბთან გასაუბრებით დადგინდა, ისინი იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას ტექსტის მოძიებისათვის, გადმოსაწერად, სარგებლობენ ელექტრონული რესურსით. საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსაწავლეებსაც. გარდა ამისა, I-IV კლასის მსოწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცეში. ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში მათ დახმარებას უწევს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. **შესაბამისად, დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და 3.6.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა;
2. საინვენტარო აღწერილობების აქტი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლის საქმისმწარმოებელს მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას. სკოლამ ასევე წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომლითაც ხელმძღვანელობდა პანდემიის პერიოდში, დისტანციური მუშაობის დროს. **სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი შეესაბამება კანონმდებლობას და შესაბამისად, 3.6.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow.emis.ge) საშუალებით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების).

   სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის მომზადება სკოლის ბუღალტრის მიერ და სამინისტროსთან შეთანხმება. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი

შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge

გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: jikhashkari2@mes.gov.ge. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, **შესაბამისად, 3.6.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **შესაბამისად, 3.6.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე სკოლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. სკოლის დირექციასთან გასაიბრებით დადგინდა, რომ ფლობენ ინფორმაციას ყველა იმ საქმინობის შესახებ, რომელსაც სჭირდება მაკონტროლებელი ორგანოების თანხმობა (იჯარა, სარგებლობაში გადაცემა და სხვა). **შესაბამიად, 3.6.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი 10 დეკემბრის ანგარიშის წარდგენაზე;
3. სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ს, Eflow.emis.ge-სა და procurement.gov.ge-ს სისტემაში. სკოლის ელექტრონული ფოსტა jikhashkari2@mes.gov.ge.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი, თუმცა არ არის სრულად აქტიური, მასზე განთავსებულია მხოლოდ ძირითადი ინფორმაცია და მიმდინარეობს შევსება. სკოლას აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი და დახურული საკომუნიკაციო ჯგუფები. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **ვინაიდან სკოლას ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით, შესაბამისად, 3.6.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორის მოადგილესთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით და მშობელთა კრების ოქმებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **შესაბამისად, 3.6.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის საკომუნიკაციო არხებს ამ ეტაპზე წარმოადგენს სოციალური ქსელი (facebook), სხვადსხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, რომელზეც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაცია თავს იყრის დირექტორის მოადგილესთან, მუშავდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება უფლებამოსილი პირების მიერ. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.6.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი, რომელზეც სკოლის ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას და მიმდინარეობს ინფორმაციის შევსება. შესაბამისად, **3.6.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3(5) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.09.2023-09.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდზე სკოლის შესახებ სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1485?schoolName.
2. სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/svatsindze.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელსაც აზუსტებს წლის განმავლობაში ფაქტობრივი დარიცხვების მიხედვით. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმებით.
   სკოლის ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან. სკოლა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან იღებს დამატებით პროგრამულ დაფინანსებას დაფინანსებას სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისათვის. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.7.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ბიუჯეტის, სამეურვეო საბჭოს ოქმებისა და შესყიდვების წლიური გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სკოლამ წარმოადგინა

სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომელშიც საუბარია, რომ დაამტკიცა ბიუჯეტის შედგენის, მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები დანართის შესაბამისად, თუმცა ვე წარმოადგინა აღნიშნული წესი.
სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით ყოველწლიურად სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენის ეტაპზე აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება.

სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **დგინდება, რომ 3.7.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი;
2. შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების ბრძანება;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის ანგარიშზე.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია თანაბარი პირობები განათლების მისაღებად. სკოლის ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსებით მოსწავლეები სარგებლობენ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბრად. აღნიშნული დადასტურდა სკოლის დოკუმენტაციის გაცნობით და ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით. უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს სკოლის შინაგანაწესი და ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების სათანადო წესით დამუშავებასა და დაცვას. მშობელს შეუძლია წინასწარ შეთანხმებით შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას ინდივიდუალურად ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასევე მშობელთა კრებებზე. სკოლას ჰყავს დარაჯი, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, შემუშავებული აქვს სართულებზე მორიგეობის განრიგი. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ამა თუ იმ პროცესებზე პასუხისმგებელი პირებისა და სხვადასხვა უწყებებთნა უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. სკოლას თვალსაჩინოდ აქვს გამოკრული და მოსწავლეთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტი. **შესაბამისად, 4.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში და ყოველი ცვლილება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი, მორიგეობის განრიგი და სკოლის შიდა რეგულაციები. **შესაბამისად, 4.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში ვერ წარმოადგინა სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება. **სკოლამ ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან უნდა გააფორმოს ზოგადი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულება**, აგრეთვე სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის N103/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

კოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 10.09.2023-18.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ ყველა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების გაფორმება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მოსწავლეთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტი;
3. ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
4. მშობელთა კრების ოქმი;
5. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
6. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
7. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტარციის წევრებმა გასაუბრების დროს განმარტეს, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად. საფეხურის დაძლევა რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც დამრიგებლების მიერ გაეცნობა მოსწავლეებსა და მშობლებს, ასევე გამოიკვრება სკოლის ფოიეში. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ბრძანებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმებით.

   სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს და ერთიან წესად აქციოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც იქნება მკაფიო და უფრო ნათელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული პროცესების განხორციელების წინაპირობებსშესაბამისად, 4.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანებებითა და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 4 ეტაპად. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვადასხვა კლასში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე, წინმსწრებ კლასში განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (მაგ: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, ექსტერნით წინა კლასების დაძლევა). **შესაბამისად, სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები და 4.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. დამრიგებლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლიუბების შესახებ. მე-4 კლასის ბოლოს, სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, საშუალებას აძლევს მშობელთა კრებაზე დააფიქსირონ აზრი, თუ რომელი უცხოური ენის შესწავლა სურთ მოსწავლეებს მეორე უცხოური ენის სახით და აძლევს ენის არჩევის შესაძლებლობას. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. როგორც გასაუბრების შედეგად დადგინდა, სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სკოლის ახალ ვებ-გვერდზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, **4.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება დამრიგებლებთან და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, ასევე სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებით. **შესაბამისად, 4.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, კლასის დაძლევის ამსახველი ბრძანებები;
2. მშობელთა კრების ოქმები;
3. სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს და მოსწავლეებს, აწყობს საზეიმო მიღებას. მაღალი კლასების მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით კი სკოლის დირექცია დამრიგებელს აცნობს მოსწავლეს, რომელიც წარუდგენს მას კლასის დანარჩენ მოსწავლეებსა და საგნების მასწავლებლებს, აცნობს სკოლის შენობას, ტერიტორიას, შინაგანაწესს და სკოლაში/კლასში დამკვიდრებულ წესებს. ადაპტციის მიზნით სკოლაში იგეგმება გასვლითი ღონისძიებები და როლური თამაშები. სკოლას 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები, სადამრიგებლო პროგრამებში ასევე გაწერილია დამრიგებლი მუშაობის მიმართულებები დამეგობრებისა და კლასში მეგობრული ატმოსფეროს დამკვიდრების მიმართულებით, რაც მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის ნაწილია. სკოლას არ აქვს დოკუმენტი (სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადამრიგებლო პროგრამაში, მოსწავლის ჩარიცხვის წესი და სხვა), რომელშიც გაწერილი ექნება თუ როგორ ადგენს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პრობლემას, შესაბამისად, არ არის თვალსაჩინო თუ რა რეაგირებას მოახდენს ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში, როგორ განახორციელებს ადაპტაციის პროცესს მობილობით ჩარიცხულ მოსწავლეებთან და სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით, ვინ იქნება ჩართული აღნიშნულ პროცესში და სხვა. **სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი გაწეროს დეტალურად მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით.**
   სკოლის დირექციასთან და დამრიგებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ 4.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. როგორც სკოლის დამრიგებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, კლასების დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან ისეთი გარემო, რაც მათ დამეგობრებას შეუწყობს ხელს და რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. სკოლას არ ერიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა ადაპტირებული გარემო და სკოლის მზაობა განაპირობებს ასეთი მოსწავლის მიღების შემთხვევაში სასკოლო გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას. სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების გაადვილების მიზნით, მომავალ სასწავლო წელს გეგმავს მასწავლებლების გადამზადებას აღნიშნული მიმართულებით. **შესაბამისად, 4.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ მოსწავლე სარგებლობს უფლებით სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება, თუ თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების

გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. მასწავლებლების ხელშეკრულების შესწავლით დადგინდა, რომ მათ აქვთ ვალდებულება მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებამდე შეასრულონ დამატებითი სამუშაო კვირისათვის გათვალისწინებული საათების ფარგლებში. **შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად და 4.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სივრცეებს სასკოლო ღონისძიებებისა და კონფერენციების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, **შესაბამისად, 4.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები, საქველმოქმედო აქციები, ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში, გამწვანების აქციები, შეჯიბრებები, კონფერენციები და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უწყობს ხელს მსგავსი არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული მუშაობა. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით დამტკიცდა მათემატიკის მოყვარულთა კლუბის ,,ნორჩი მოანგარიშე''-ს წესდება, ასევე მოსწავლეების მიერ შემუშავდა და დამტკიცდა თითოეული სკოლაში მოქმედი კლუბის ლოგო. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. შექმნილია ქიმიკოსთა და ფიზიკოსთა კლუბი ,,ცისარტყელა", ასევე ,,ნორჩი მოანგარიშე'', ,,ნორჩი მკითხველები'', ეკოკლუბი ,,დედამიწა ჩვენია'' და მუსიკალური კლუბი ,,ქართული საგალობელი''. კლუბები ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. სკოლა გეგმავს მომავალში მოსწავლეებს მისცეს მეტი მოტივაცია და გადასცეს დიპლომები, სიგელები და სერთიფიკატები. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. **შესაბამისად, 4.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების გასარკვევად დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს და მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწაველეთა ინტერების გათვალისწინებით და მათი/მშობლების უკუკავშირის საფუძველზე დაფუძნდა სასკოლო კლუბები. აღნიშნული სახის უკუკავშირის მიღებას სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს კითხვარების მეშვეობით. დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში და შესაბამისად, **4.2.1(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
3. სადამრიგებლო პროგრამები;
4. კლუბის წესდება, სამუშაო გეგმა, კლუბის წევრთა განცხადებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც საბაზო-საშუალო საფეხურის კლასების დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების განვითარებაში. დამრიგებლები აქტუალური თემის ფარგლებში მოსწავლეებს უტარებენ საუბრებს მეწარმეობის უნარების განვითარების თაობაზე, რომლის ფარგლებშიც შედგა შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. სკოლა გეგმავს პროფესიული ორიენტაციის პროგრამა ასახოს მომდევნო

სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სადამრიგებლო პროგრამებში. **ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით 4.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. ამ მიზნით დამრიგებელები ესაუბრება მოსწავლეებს, იღებენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება ან სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს. დამრიგებელები უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის დირექციისათვის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც დირექცია უზრუნველყოფს უნივრსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ადგილზე ვიზიტსა და გარემოს დათვალიერებას. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს ითანამშრომლოს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც საშუალო საფეხურის მოსწავლეები გაეცნობიან უნივერსიტეტში განათლების მიღების პირობებს და სურვილის შემთხვევაში მიიღებენ იქ სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას. **შესაბამისად, 4.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლას არ განუხორციელებია კვლევა თუ რა პროფესიებია პოპულარული თავიანთი სკოლის კურსდამთავრებულებისთვის, არ უწარმოებიათ სტატისტიკა და ანალიზი, თუმცა განაცხადა, რომ გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც დაგეგმავს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, ასევე შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სერვისის გაუმჯობესებასა და დახვეწას. შესაბამისად, **4.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინტერვიუები სკოლის დირექციასთან და საბაზო-საშუალო საფეხურს დამრიგებლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე/მოსწავლეები და როგორც გასაუბრებით დადგინდა, არ აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრაქტიკა, ვინაიდან ასეთი საჭიროება არ დამდგარა. თუმცა, სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების სერვისებთან დაკავშირებით და სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულიად ადაპტირებულია და მორგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე, ასევე სკოლას გააჩნია სათანადო სასწავლო რესურსებით აღჭურვილი რესურს-ოთახი. სკოლას აქვს მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის ემზადებიან სსსმ მოსწავლის მისაღებად და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წელს გეგმავენ სკოლის მასწავლებლების გადამზადებას ინკლუზიური სწავლების მიმართულებით, რათა მომზადებულები შეხვდნენ სასწავლო პროცესს. შესაბამისად, **4.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. შესაბამისად, მასწავლებლებმა იციან, რომ სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღების შემთხვევაში, შეიქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც იმუშავებს თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით. **შესაბამისად, 4.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. რესურს-ოთახი (ფოტო მასალა)

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს ტრანსპორტირების მომსახურებას „საჯარო სკოლების მოსწავლეთა უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. მომსახურება ითვალისწინებს ორი კილომეტრის და მეტი მანძილიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. პროგრამა ფინანსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და მონიტორინგს უწევს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. სკოლა გეგმავს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად (იჯარის ფორმით) მოსწავლეებს შესთავაზოს კვების სერვისი. სკოლა ფლობს ინფორმაციას იჯარის ფორმით ფართის სარგებლობის უფლებით გაცემისთვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე. **შესაბამისად, 4.2.4(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ამ ეტაპზე სკოლას აქვს მხოლოდ ტრანსპორტით არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, რაც ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც საჭიროებენ აღნიშნულ მომსახურებას. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დამატებითი მომსახურების მიწოდების შემთხვევაში გასავლელი პროცედურების თაობაზე, მათ შორის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობით ფართის სარგებლობაში გადაცემის

თაობაზე, ასევე დამატებით სავალდებულო მომსახურების შემთხვევაში, ნებაყოფლობით მშობლებთან შეთანხმებით სერვისის გაწევის თაობაზე. შესაბამისად, **4.2.4(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესებით, უსაფრთხოების ყველა მექანიზმის დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. სატრანსპორტო მომსახურების შესრულების პირობებს აკონტროლებს ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ასევე წარმოებს სამუშაოს შესრულების ტაბელი, რასაც ხელმოწერით ადასტურებს სკოლა და მძღოლი. **შესაბამისად, 4.2.4(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწალეთა ტრანსპორტით მომსახურების შესრულების ყოველთვიური ტაბელები;
2. ტექ. დათვალიერების საბუთი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები, დირექცია და მშობლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კათედრის შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმის შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები და ამდენად, გათვალისწინებულია მთელი სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო. სამომავლოდ სკოლა გეგმავს, „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში უფრო მეტად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა და უფრო კონკრეტულად განსაზღვროს და გაწეროს, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. მათემატიკის კათედრას კურიკულუმის შემუშავებისას გამოყენებული აქვს საიტი math.ge. რომელსაც ერთობლივად ამუშავებენ და ყევლასთვის ხელმისაწვდომია. **2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში დაწყებითი საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, მშობლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგინდა მათი ინტერვიუს საშუალებით. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ,,სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ

კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.“ მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კათედრაზე ინტერვიუს პროცესში რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მუდმივად აქვთ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაცია. დაწყებით საფეხურზე ითვალისწინებენ მშობლების მოწოდებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორი დავალებები მოსწონთ მათ შვილებს. აღნიშნული მტკიცებულებები იძლევა იმის საფუძველს, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმაში, პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმში. კერძოდ, კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. **2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. იგივეს ადასტურებს თვითშეფასების კითხვარის ჩანაწერი: ,,2023-2024 სასწავლო წლის დასწყისში დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება მოხდება მშობლებისათვის ჩატარებულ გაერთიანებულ კრებაზე და აგრეთვე გადაეგზავნებათ თიმსის პლატფორმაზე და მესენჯერის საშუალებით“. **2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურუკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
3. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, კონსტრუქტივიზმზე დაშენებული ცოდნის მიღება. დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. დაწყებითი საფეხურის საგნების კურიკულუმის ჩარჩო, ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე

დაყრდნობით, სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები. კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები, საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. თითეული საგნის კურიკულუმში ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, ძირითადი საკითხებისა და საკითხთა კლასტერების ჩამონათვალი, სასწავლო რესურსები. ხოლო იმ საკითხებისათვის, რომლებზედაც კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალების დანხორციელებაა დაგეგმილი, განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. კონტექსტ-მაგალითები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ასაკობრივ თავისებურებებს და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. კომპლექსური დავალების იდეაში წარმოდგენილია შესასწავლი საკითხის შესახებ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ კომპლექსური დავალების ბოლოს. კონკრეტულ კლასებში ბუნებისმეტყველებაში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, რომლებსაც არ აზუსტებს ქვეცნებები, თუმცა წარმოდგენილია საკითხები და საკითხთა კლასტერები. პირველი და მე-2 კლასების კურიკულუმის ჩარჩოში სასწავლო პროცესი გაწერილია ერთი თემის ფარგლებში, დანარჩენ თემებთან მიმართებით კი ბუნებისმეტყველების პედაგოგები თავიანთ სამუშაო გეგმას მომდევნო სასწავლო წლისათვის წარმოადგენენ, მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი იქნება გრიფირებული სახელმძღვანელოები.

მასწავლებლების თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ უკვე იციან, რა ტიპის ცვლილება უნდა შეიტანონ კურიკულუმში, კათედრებზე მუშაობისა და კოლეგებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სექტემბრისთვის შექმნიან სრულყოფილ კურიკულუმს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებელთა ინტერვიურებიდან გამოიკვეთა, შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების შესაბამისად. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, დამოუკიდებელი და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ამ მიზნით ხშირად იყენებენ კონსტრუქტივისტულ და ინტერაქტიულ მეთოდებს, პროექტებით სწავლებას, კლასგარეშე ღონისძიებებს. ამით ცდილობენ, მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობას. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომით, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასწავლო მასალა მოსწავლეს მიეწოდება მისი წინარე ცოდნის გათვალისწინებით - ეტაპობრივად. ყურადღება ექცევა საგანთა შორის ინტეგრირებას, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების ფარგლებში. **2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და აგებულია

სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შედეგი. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალების ფარგლებში. **მათემატიკაში** წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, *თუმცა გამოკვეთილი არ არის სამი სამიზნე ცნება.* კათედრას აქვს მზაობა, რომ მოცემულ დავალებებს გამოიყენებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებში განუვითარონ: გლობალური ფუნქციური უნარები, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობოსა და ხასიათი და ნებელობის განვითარებაზე ორიენტირებული. უნდა აღინიშნოს, რომ საგან **ბუნებისმეტყველებაში** ყველა კლასის კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში არ არის გაწერილი ქვეცნებები, თუმცა მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გაირკვა რომ 2023 წლის სექტემბრამდე იგეგმება ყველა კლასისთვის კურიკულუმის ჩარჩოს განვითარება და მოწესრიგება. **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებით, თემებით, საკითხებით, კონტექსტმაგალითებითა და საჭირო რესურსებით. შეიძლება ითქვას, რომ ამ კლასებში კურიკულუმი სრულყოფილადაა წარმოდგენილი და ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავენ ასევე გამართონ მე-6 კლასის კურიკულუმიც. მე-6 კლასში კურიკულუმის ჩარჩოში არის მცირეოდენი ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელსაც 2023-2024 სასწავლო წლისთვის პედაგოგები გამოასწორებენ. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმებს შეავსებენ, კარგად იციან, რომ ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სავალდებულოა ყველა თემის ფარგლებში. **2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებითი საფეხური. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული

სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა მათ მიერ განვლილი ტრენინგების დროს შეიძინეს ცოდნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა. გარდა ამისა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.**2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა (მე-5 კლასის მეორე სემესტრი, მე-6 კლასი) და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი - განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც- უნდა ემსახურებოდეს ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები. **2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებითი საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ

ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-2024 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში.

2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩო;
2. წრეებისა და კლუბების დოკუმენტაცია;
3. კათედრების ანგარიშები;
4. გაკვეთილის გეგმა და შეფასების რუბრიკები;
5. სასწავლო პროექტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, ,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სკოლაში ფუნქციონიონირებს სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე.“ სკოლის თვითშეფასებიდან ვგებულობთ,რომ სკოლაში ფუნქციონირებს მუსიკის წრე „ჰარმონია“ და კლუბი „ქართული საგალობელი“, ამ ინფორმაციას ამტკიცებს წარმოდგენილი კლუბ-საგალობლების სამუშაო პროგრამა, რომელშიც დეტლურადაა გაწერილი სამუშაო პროგრამა, სამიზნე ჯგუფი, კლუბის მნიშვნელობა და აქტუალობა კლუბის მუშაობის მიზანი და კლუბის სამუშაო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები - ეპიზოდის დახატვა, წერილის წერა, ილუსტრაციის აღწერა, ამბის შეთხზვა, კომიქსებისა და პოსტერების შექმნა და სხვ. (ზოგიერთი იდეის დონეზე), წარმოდგენილია სასკოლო/სასწავლო პროექტები - აუტიზმი არ არის განაჩენი, დავიცვათ ბავშვთა უფლებები, მოვეფეროთ მოხუცებს, სიკეთე

გადამდებია და სხვ. სკოლაში ფუნქციონირებს „ნორჩ მკითხველთა“ კლუბი. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის მიზნით. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე მუშაობისას უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. შეეცდებიან, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ, დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მე-6 კლასის კურიკულუმში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალება-ამბის შეთხზვა ძაღლზე- რომელიც მოსწავლეთა წინარე ცოდნას ააქტიურებს ყველა ბავშვისთვის საყვარელ ცხოველზე, ძაღლზე. შემდეგ კი კონსტრუირების გზით მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეს შეაქმნევინოს ახალი პროდუქტი-მოიფიქროს რაიმე საინტერესო ამბავი, თავგადასავალი და შექმნას მასზე მოთხრობა. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. ასევე დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლა ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ახდენდენ ურთიერთდასწრებას, კომპლექსური დავალებების განხილვას და შესაბამისად, მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას იყენებენ კომპლექსურ დავალებებში კონსტრუქტივიზმის პრონციპების გასათვალისწინებლად. **2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს სწავლის სწავლაზე სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდების შესახებ, იყენებენ ტრენინგებსა თუ მასტერკლასებში მიღებულ ცოდნას, კითხულობენ შესაბამის ლიტერატურას, თავიანთ გამოცდილებას წერისა და კითხვის სტრატეგიასთან დაკავშირებით უზიარებენ მშობლებს. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს აუხსნან

და გააგებინონ როგორ უნდა ისწავლონ, დაგეგმონ და შეძლონ მიღწევების შეფასება, როგორ დაინახონ პროგრესი საკუთარ წინსვლაში.“ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები, მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. ასევე დაწყებითი საფეხურიზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად აკეთებენ სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, თვითშეფასების სქემები (თვითრეგულირებული სწავლა), ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი აისახება დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო პროექტებში; მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, რადგან კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. თავის მხრივ, კომპლექსური დავალების განხორციელება მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ

შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლა თვითშეფასების ფორმაში წერს: „სასწავლო პროცესი ორიენტირებულია, რათა მოსწავლეებმა მიიღონ ის ცოდნა, რაც მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების ცოდნას. ამასთანავე, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა უნდა იძლეოდეს მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლები იღებენ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას თუ როგორ იმოქმედონ განსხვავებულ სიტუაციებში. მიღებული ცოდნით მოსწავლეებს შეუძლიათ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობა და შესაძლებლობა აქვთ მიღებული ცოდნა სხვადასხვა კონეტქსტში ადეკვატურად გამოიყენონ.“ ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ და მსჯელობენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები, ამიტომ **2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. აღნიშნულს ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა, რომლის მიხედვითაც ჩატარდა გაკვეთილი VI-კლასში და ინტეგრირებული პროექტები ,,სიკეთე გადამდებია“ სადაც საგნების, ქართული ენისა და ლიტერატურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ინტეგრირებაა და პროექტი ,,ფერადი შემოდგომა მიდის“ სადაც სამი საგნის, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და ქართული ენა და ლიტერატურის ინტეგრირებაა, რომელიც განხორციელდა I-VI კლასის მოსწავლეების ჩართულობით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით სკოლას აქვს გამოცდილება. მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე ქმნიან ილუსტრაციებს, წერენ წერილებს, თხზავენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. პედაგოგებს

აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თვითშეფასების ფორმა;
2. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
3. ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
4. წრეებისა და კლუბების დოკუმენტაცია;
5. სასწავლო პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები

(კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩო I, II, III, IV, V და VI კლასებისთვის, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. გასაუბრებისას პედაგოგებს მიეცათ რჩევები კურიკულუმის დახვეწისა და განვითარებისათვის. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. **2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი- სიკეთე გადამდებია, დაუნის სინდრომი, აუტიზმი არ არის განაჩენი, მოვეფეროთ მოხუცებს და სხვ. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს

მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა დაასახელეს რამდენიმე ღონისძიება, რაც უთუოდ ეხმარება მოსწავლეს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. **2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. თვითშეფასებაში სკოლა წერს: „მოსწავლის ჰოლისტური შეფასება სწავლის ხელშეწყობის აუცილებელი წინაპირობაა. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლის საგანმანათლებლო უნარები და შეაფასოს მისი აკადემიური, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური, ენისა და მეტყველების, მოტორული და ადაპტური სფეროების მიხედვით.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა აღნიშნულიდან გამომდინარე. პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ სოლო ტაქსონომიით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს და შემდეგ გააანალიზებენ მას. **2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ამ ეტაპზე სკოლას ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები დაწყებით, კერძოდ V-VI კლასებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ . სკოლა თვითშეფასებაში წერს: „შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მაქსიმლურად ვცდილობთ, რომ შეფასების სისტემა იყოს სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლის შეფასება ხდება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები შემუშავებული გვაქვს კათედრებზე, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების სისტემის შეცვლას საჭიროების შემთხვევაში კათედრის სხდომებზე განიხილავენ მასწავლებლები. ვაპირებთ დავამატოთ აქტივობები (დიაგნოსტიკური

ტესტი, სემესტრული ტესტი), იმისათვის, რომ შეფასება გახდეს ობიექტური, სამართლიანი“ სკოლას აქვს სწორი ხედვა. **2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლის დირექტორი, კათედრები და სასკოლო საზოგადოება სათანადოდაა ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც რეგულირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. **2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემს ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრაზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. თვითშეფასების ფორმა;

4. ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. შეფასების რუბრიკები;
6. პედაგოგიური საბჭოს ოქმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში ძლიერ მხარედ ასახელებს მაღალ თანამშრომლობით კულტურას რომელზეც სასწავლო პროცესი ეფუძნება და აღნიშნავს: „კათედრის წევრებს ხშირად გვაქვს შეხვედრები, სადაც განვიხილავთ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, ვიღებთ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება გვაქვს ბავშვებთან, სკოლაში იქმნება პოზიტიური გარემო. მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო-სოციალურ პროექტებში, რაც ხელს უწყობს თემთან ურთიერთობას.“ ამ ჩანაწერს ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: ურთიერთდასწრების რეფლექსიები, კრიტიკული მეგობრის უკავშირები, რომლის მიხედვითაც ჩანს მასწავლებლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორ ესწრებიან გაკვეთილებზე ერთმანეთს, ახდენენ დაკვირვებას, გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და შესაბამისად აძლევენ რჩევებს კოლეგებს. სკოლაში კარგად მუშაობს ,,კრკიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს ამ სახის თანამშრომლობითი კულტურის შესახებ. **2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში

ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის კონკურსებსა და პროექტებში იღებენ მონაწილეობას. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლაში არსებული მრჩეველთა საბჭო აქტიურადაა ჩართული მოსწავლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებას. სამომავლოდ ეცდებიან, გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „სასკოლო კათედრები გეგმავენ ერთობლივ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, როგორც „კრიტიკული მეგობარი“ და აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. აგრეთვე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში.“სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მასალები და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, აქტიურად იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“ ძალიან ხშირად გეგმავენ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებს. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ, წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თვითშეფასების ფორმა;
2. ურთიერთდასწრების რეფლექსიები;
3. ხარისხის მართვის დებულება;
4. ხარისხის განვითარების ოქმი;
5. ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
6. კრიტიკული მეგობრის უკუკავშირები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად ,

მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კონკრეტულად გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნინავს „სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების მექანიზმი, სასწავლო პროცესის შეფასებისა და ურთიერთდახმარების მიზნით დაიგეგმა გაკვეთილებზე დასწრება, შედგა გრაფიკი, შეიქმნა ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელშიც შევიდა ყველა კათედრისა და ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ისინი ესწრებოდნენ გაკვეთილებზე, აკვირდებოდნენ პედაგოგის ძლიერ მხარეებს, გამოკვეთავდნენ გასაუმჯობესებელ საკითხებს და გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე აძლევდნენ უკუკავშირებს.“სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა წერს:,,2023-2024 მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც იზრუნებს გადაჭრას სასწავლო პროცესში წარმოშობილი პრობლემა.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე. **2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2. თვითშეფასების ფორმა;
3. ურთიერთდასწრების რეფლექსიები;
4. ხარისხის მართვის დებულება;
5. ხარისხის განვითარების ოქმი;
6. კრიტიკული მეგობრის უკუკავშირები;
7. სასკოლო კურიკულუმით განხორციელებული კომპლექსური დავალებების მონიტორინგი და შეფასება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: „შეფასება ხდება პროექტის, პრეზენტაციის, ესეს, შემაჯამებელი ტესტური დავალების,დაწყებით კლასებში განმავითარებელი კომენტარის, ჯგუფური, წყვილებში, ინდივიდუალური მუშაობის შეფასებით, გამსვლელი ბარათებით, რასაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ, შებრუნებული სასწავლო ოთახი, მოსწავლის მიერ თვითშეფასება,თანაკლასელის შეფასება. სწავლების დროს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მასწავლებელს აძლევს საშუალებას შეაფასოს მოსწავლე ობიექტურად“ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. **2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლა თვითშეფასებაში წერს: "ნაწილობრივ ვახერხებთ მოსწავლეების საჭიროების განსაზღვრას, მაგრამ მთლიანობაში ყველა სფეროს გათვალისწინება გვიჭირს.ვფიქრობთ,რომ ამ მხრივ განვითარებას ვსაჭიროებთ, დავესწრებით პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს შეფასების მიმართულებით და ახალის სასწავლო წლიდან დაევალებათ კათედრებს ურთიერთდასწრებისას დაკვირვების საფუძველზე მოახდინონ საკუთარ პრაქტიკაში საუკეთესო გამოცდილების დანერგვა.სწორი ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. **2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. თვითშეფასებაში ვკითხულობთ: "სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებით, ინდივიდუალურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. გათვალისწინებულია აგრეთვე მოსწავლეთა განსხვავებული სოციალურ-აკადემიური უნარები. შეფასება ხდება მოსწავლის უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია მოსწავლის სოციალური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა. "მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. **2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. საგნობრივი კურიკულუმები.

მასწავლებელთა ინტერვიუირების შედეგები.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის შექმნის, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით გამოცდილება აქვს რასაც თვითშეფასებაშიც აღნიშნავს. სკოლა თვითშეფასებაში წერს: , პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის და კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის დანერგვისთვის დირექტორის ბრძანებით შეიქმნება ჯგუფები,რომელსაც დაევალება სასკოლო კურიკულუმის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება,ასევე კონკრეტულ ჯგუფს დაევალება კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგი და შეფასება,მონიტორინგისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება. იქნება ჯგუფი რომელსაც დაევალება

კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის გადასინჯვა და რევიზია.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა:ესთეტიკური აღზრდის მიმართულების საგნებში მასწავლებლები კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ პროცესების რეფლექსიას, აღწერენ მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. **2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტის ჩანაწერში, ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე." სკოლა, თვითშეფასების ფორმაშიც წერს: „სკოლამ ახალ საგნობრივ კურიკულუმებზე დაიწყო მუშაობა და ძველ თემატურ გეგმებსაც ვიყენებთ და ვამატებთ ახალს კომპლექსური დავალების სახით. ამჟამად მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება მასწავლებლების გადამზადება კურიკულუმების შემუშავების მიმართულებით, 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს დაგროვილ გამოცდილებას გამოვიყენებთ კურიკულუმის რევიზიისთვის 2024-2025 სასწ. წლის კურიკულუმში ცვლილებების შეტანა დაეფუძნება წინა წლის გამოცდილებას." სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა. **2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. საგნობრივი კურიკულუმები;
5. შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები, დირექცია და მშობლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კათედრის შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმის შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები და ამდენად, გათვალისწინებულია მთელი სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში უფრო მეტად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა და უფრო კონკრეტულად განსაზღვროს და გაწეროს, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. მათემატიკის კათედრა კურიკულუმის შემუშავებისას იყენებს საიტს math.ge , რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. **2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საბაზ საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, მშობლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგინდა მათი ინტერვიუს საშუალებით. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ,,სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ

კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.“ მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კათედრაზე ინტერვიუს პროცესში რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მუდმივად აქვთ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაცია. ხოლო სკოლის დირექციისა და საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; სკოლას აქვს გარკვეული კითხვარები ამასთან დაკავშირებით, რეგულარულად ხორციელდება მშობელთა კრებები, არსებობს დამრიგებლის გეგმები, სასკოლო პროექტების (პროექტი „სკოლის მაკეტის შექმნა” და სხვ.) და კლუბების (ეკოკლუბი, ფიზიკისა და ქიმიის კლუბი „ცისარტყელა“) დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს როგორც მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს, ისე მასწავლებლების ინიციატივებს და წინადადებებს. მაგალითისათვის, კლუბის „ცისარტყელა“ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჩვენებას შემდგომი დისკუსიებით, რითაც საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები გეგმავენ, ხელი შეუწყონ მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოტივაციის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას და საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს გააზრებული აქვთ ამ საკითხის - კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვის - მნიშვნელობა სკოლის განვითარებისთვის. აღნიშნული მტკიცებულებები იძლევა იმის საფუძველს, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმაში, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმში. კერძოდ, კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება

მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. **2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია Facebook-ზე (https://www.facebook.com/svatsindze), ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. იგივეს ადასტურებს თვითშეფასების კითხვარის ჩანაწერი: ,,2023-2024 სასწავლო წლის დასწყისში საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება მოხდება მშობლებისათვის ჩატარებულ გაერთიანებულ კრებაზე და აგრეთვე გადაეგზავნებათ თიმსის პლატფორმაზე და მესენჯერის საშუალებით“. **2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურუკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. თვითშეფასების ფორმა;
3. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

2. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
3. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
4. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, კონსტრუქტივიზმზე დაშენებული ცოდნის მიღება. საბაზო საფეხურის ყველა საგნის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. საბაზო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმის ჩარჩო, ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები. სასწავლო რესურსებთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი:

   - ყველა საგნის - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსები სტანდარტულად მოიცავდა ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს; ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში - სახელმძღვანელოს პარაგრაფებს შესაბამისი გვერდების მითითებით; ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში სასწავლო რესურსად დამატებით მითითებულია ელექტრონული რესურსების ლინკები, CK-12 რესურსები; ვირტუალური ლაბორატორია (phet.colorado);

   - თუმცა არც ერთი საგნის კურიკულუმში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალების შესრულებისას, არ არის მითითებული შესაძლებელი/რელევანტური და სკოლის პრაქტიკაში ადვილად განხორციელებადი სადემონსტრაციო/ლაბორატორიული ცდები (ცდის დასახელება, მოწყობილობები და მასალები);

ამავე დროს, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს ვიდეო- და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად ლაბორატორიული ცდების ჩატარების პრაქტიკა; სკოლაში მოწყობილია თანამედროვე ლაბორატორია, რომელშიც შეყვანილია წყალი, მოწყობილია გამწოვი-სავენტილაციო სისტემა, არის საპრეპარატო, რომელშიც კარადებსა და უფრო მეტად ყუთებში მოთავსებულია ექსპერიმენტების ჩასატარებელი მასალები

და მოწყობილობები. მაგალითისათვის, ქიმიის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი იყო VIII კლასში სავალდებულო თემის "წყალი, ხსნარები" საკითხის - „ნარევები და ნაერთები" - ექსპერიმენტული შესწავლისათვის საჭირო რეაქტივები, რომლებიც ყუთებში ინახება; შესაბამისად, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული რესურსები მითითებული არ არის.

საბუნებისმეტყველო საგნების - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ვიდეო- და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად რეალურ „ცოცხალ" ცდებს/ექსპერიმენტებს, ამ საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე. აღნიშნულის და სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები ასევე უნდა დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში. საბაზო საფეხურის კურიკულუმები ასახავს იმ ძირითად თემებს საკითხებს რომელიც საბაზო საფეხურზე უნდა დაინერგოს, ამისათვის გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, სხვადასხვა სირთულის დავალებებით, რომელიც კარგად ჩანს მოწოდებულ კომპლექსური დავალების ანალიზის შედეგად, ასევე ის ასახავს იმ ძირითად შეკითხვებს რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის უკეთ წარმოჩენაში, და პროდუქტის მიზნობრივად შექმნა-პრეზენტირებაში. **2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შედეგი. საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალების ფარგლებში. კურიკულუმის ჩარჩოებში სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები, **მათემატიკაში** მოწოდებული კომპლექსური დავალება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება *(თუმცა გამოკვეთილი არ არის სამი სამიზნე ცნება).* კათედრას აქვს მზაობა, რომ მოცემულ დავალებებს გამოიყენებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებში განუვითარონ: გლობალური

ფუნქციური უნარები, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათი და ნებელობის განვითარებაზე ორიენტირებული. ამასთან აღსანიშნავია შემდეგი: სკოლის საბაზო საფეხურის ფიზიკის და ბიოლოგიის კურიკულუმებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებების ფარგლებში გათვალისწინებულია შესაბამისი სამიზნე ცნებების დამუშავება; თუმცა, თუ კომპლექსური დავალებით მუშაობა არ არის განსაზღვრული, ფიზიკის კურიკულუმში არ ფიქსირდება შესასწავლი საკითხის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; მაგალითისათვის, ფიზიკის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილის მიხედვით, სავალდებულო თემის „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“ ფარგლებში არ არის მითითებული დასამუშავებელი სამიზნე ცნებები; აქვე აღსანიშნავია, რომ სავალდებულო თემის სახელწოდება კურიკულუმში რედუცირებული სახით არის წარმოდგენილი - „თანაბარი მოძრაობა“; საბაზო საფეხურის ქიმიის კურიკულუმში კლასების მიხედვით არ არის ასახული დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, თუმცა, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ განსაზღვრულია ერთი სავალდებულო თემის ფარგლებში ერთი კომპლექსური დავალების განხორციელება როგორც VIII (სავალდებულო თემა „წყალი, ხსნარები“, კომპლექსური დავალება „ცნების რუკის შექმნა წყლის თვისებებზე“), ისე IX კლასში (სავალდებულო თემა „ნივთიერებათა მრავალფეროვნება“, კომპლექსური დავალება „როგორ დავადგინოთ ყოველდღიურად გამოყენებული ხსნარების pH).

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები მომავალი სასწავლო წლისთვის გასწორდება და კურიკულუმებს სრულყოფილ სახეს მისცემენ. **სახელმწიფო ენაში** მე-9 კლასის კურიკულუმში რამდენიმე თემასთან შეინიშნება სამიზნე ცნების ნაკლებობა შესაბამის გრაფებში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეს ტექნიკური ხასიათის შეცდომაა, რასაც მომავალი სასწავლო წლისთვის შეასწორებენ და კურიკულუმებს სრულყოფილ სახეს მისცემენ. გასაუბრების დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა. მათ კარგად იციან, რომ ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება სავალდებულოა ყველა თემის ფარგლებში. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. ამასთან, პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა იმუშავებს არსებული უზუსტობების გასწორებასა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. **2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე

პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწვალა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა მათ მიერ განვლილი ტრენინგების დროს შეიძინეს ცოდნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა. გარდა ამისა, საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-12 კლასის ჩათვლით. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა (მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, მე-12 კლასის ჩათვლით) და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი - განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც- უნდა ემსახურებოდეს ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები. **2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების

პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში. **2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო;
2. სასწავლო პროექტები;
3. ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
4. წრეებისა და კლუბების დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, ,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სკოლაში ფუნქციონიონირებს სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე.“ სკოლის თვითშეფასებიდან ვგებულობთ,რომ სკოლაში ფუნქციონირებს მუსიკის წრე „ჰარმონია“ და კლუბი „ქართული საგალობელი“, ამ ინფორმაციას ამტკიცებს წარმოდგენილი კლუბ-საგალობლების სამუშაო პროგრამა, რომელშიც დეტლურადაა გაწერილი სამუშაო პროგრამა, სამიზნე ჯგუფი, კლუბის მნიშვნელობა და აქტუალობა კლუბის მუშაობის მიზანი და კლუბის სამუშაო გეგმა. სკოლაში ფუნქციონირებს „ნორჩ მკითხველთა“ კლუბი. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის მიზნით. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე მუშაობისას უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და საგნობრივი კურიკულუმების

დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. შეეცდებიან, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ, დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მე-6 კლასის კურიკულუმში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალება-ამბის შეთხზვა ძაღლზე- რომელიც მოსწავლეთა წინარე ცოდნას ააქტიურებს ყველა ბავშვისთვის საყვარელ ცხოველზე, ძაღლზე. შემდეგ კი კონსტრუირების გზით მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეს შეაქმნევინოს ახალი პროდუქტი-მოიფიქროს რაიმე საინტერესო ამბავი, თავგადასავალი და შექმნას მასზე მოთხრობა. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. ასევე დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლა ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ახდენდენ ურთიერთდასწრებას, კომპლექსური დავალებების განხილვას და შესაბამისად, მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას იყენებენ კომპლექსურ დავალებებში კონსტრუქტივიზმის პრონციპების გასათვალისწინებლად. **2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს სწავლის სწავლაზე სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდების შესახებ, იყენებენ ტრენინგებსა თუ მასტერკლასებში მიღებულ ცოდნას, კითხულობენ შესაბამის ლიტერატურას, თავიანთ გამოცდილებას წერისა და კითხვის სტრატეგიასთან დაკავშირებით უზიარებენ მშობლებს. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს აუხსნან და გააგებინონ როგორ უნდა ისწავლონ, დაგეგმონ და შეძლონ მიღწევების შეფასება, როგორ დაინახონ პროგრესი საკუთარ წინსვლაში.“ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში

აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები, მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. ასევე საბაზო საფეხურიზე მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად აკეთებენ სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, თვითშეფასების სქემები (თვითრეგულირებული სწავლა), ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი აისახება საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო პროექტებში; მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, რადგან კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. თავის მხრივ, კომპლექსური დავალების განხორციელება მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლა თვითშეფასების ფორმაში წერს: „სასწავლო პროცესი ორიენტირებულია, რათა მოსწავლეებმა მიიღონ ის ცოდნა, რაც მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების ცოდნას. ამასთანავე, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა უნდა იძლეოდეს

მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლები იღებენ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას თუ როგორ იმოქმედონ განსხვავებულ სიტუაციებში. მიღებული ცოდნით მოსწავლეებს შეუძლიათ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობა და შესაძლებლობა აქვთ მიღებული ცოდნა სხვადასხვა კონტექსტში ადეკვატურად გამოიყენონ.“ ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ და მსჯელობენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები, ამიტომ **2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები თემატურადაა დაგეგმილი, ასევე, კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. საბაზო საფეხურზე კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს, ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საბაზო საფეხურზე ქმნიან საჯარო გამოსვლის ტექსტებს, არგუმენტირებულ ესეს, წერენ თხზულებებს, მოთხრობებს და ა.შ. სასწავლო პროცესში მოსწავლე არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს, უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, რომლის ამსახველი დოკუმენტაცია სკოლამ მრავლად

წარმოადგინა. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის ჩარჩო;
2. სასწავლო პროექტი;
3. გაკვეთილის გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია,

რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩო VII, VIII და IX კლასებისთვის, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. გასაუბრებისას პედაგოგებს მიეცათ რჩევები კურიკულუმის დახვეწისა და განვითარებისათვის. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. **2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი-სიკეთე გადამდებია, დაუნის სინდრომი, აუტიზმი არ არის განაჩენი, მოვეფეროთ მოხუცებს და სხვ. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა დაასახელეს რამდენიმე ღონისძიება, რაც უთუოდ ეხმარება მოსწავლეს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. **2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. თვითშეფასებაში სკოლა წერს: „მოსწავლის ჰოლისტური შეფასება სწავლის ხელშეწყობის აუცილებელი წინაპირობაა. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლის საგანმანათლებლო უნარები და შეაფასოს მისი აკადემიური, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური, ენისა და მეტყველების, მოტორული და ადაპტური სფეროების მიხედვით.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა აღნიშნულიდან გამომდინარე. პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ სოლო ტაქსონომიით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს და შემდეგ გააანალიზებენ მას. **2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ამ ეტაპზე სკოლას ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“ . სკოლა თვითშეფასებაში წერს: „შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მაქსიმლურად ვცდილობთ, რომ შეფასების სისტემა იყოს სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლის შეფასება ხდება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები შემუშავებული გვაქვს კათედრებზე, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების სისტემის შეცვლას საჭიროების შემთხვევაში კათედრის სხდომებზე განიხილავენ მასწავლებლები. ვაპირებთ დავამატოთ აქტივობები (დიაგნოსტიკური ტესტი, სემესტრული ტესტი), იმისათვის, რომ შეფასება გახდეს ობიექტური, სამართლიანი“ სკოლას აქვს სწორი ხედვა. **2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლის დირექტორი, კათედრები და სასკოლო საზოგადოება სათანადოდაა ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც რეგულირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. **2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემს ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრაზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
4. შეფასების რუბრიკები;
5. თვითშეფასების ფორმა;
6. პედაგოგიური საბჭოს ოქმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
4. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში ძლიერ მხარედ ასახელებს მაღალ თანამშრომლობით კულტურას რომელზეც სასწავლო პროცესი ეფუძნება და აღნიშნავს: „კათედრის წევრებს ხშირად გვაქვს შეხვედრები, სადაც განვიხილავთ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, ვიღებთ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება გვაქვს ბავშვებთან, სკოლაში იქმნება პოზიტიური გარემო. მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო-სოციალურ პროექტებში, რაც ხელს უწყობს თემთან ურთიერთობას.“ ამ ჩანაწერს ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: ურთიერთდასწრების რეფლექსიები, კრიტიკული მეგობრის უკავშირები, რომლის მიხედვითაც ჩანს მასწავლებლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორ ესწრებიან გაკვეთილებზე ერთმანეთს, ახდენენ დაკვირვებას, გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და შესაბამისად აძლევენ რჩევებს კოლეგებს. სკოლაში კარგად მუშაობს ,,კრკიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს ამ სახის თანამშრომლობითი კულტურის შესახებ. **2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის

კონკურსებსა და პროექტებში იღებენ მონაწილეობას. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლაში არსებული მრჩეველთა საბჭო აქტიურადაა ჩართული მოსწავლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებას. სამომავლოდ ეცდებიან, გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „სასკოლო კათედრები გეგმავენ ერთობლივ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, როგორც „კრიტიკული მეგობარი“ და აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. აგრეთვე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში.“სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მასალები და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, აქტიურად იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“ ძალიან ხშირად გეგმავენ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებს. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ, წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა;

2. ურთიერთდასწრების რელექსიები;
3. კრიტიკული მეგობრის უკუკავშირები;
4. ხარისხის განვითარების ოქმი;
5. ხარისხის მართვის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად,

მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კონკრეტულად გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნინავს „სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების მექანიზმი, სასწავლო პროცესის შეფასებისა და ურთიერთდახმარების მიზნით დაიგეგმა გაკვეთილებზე დასწრება, შედგა გრაფიკი, შეიქმნა ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელშიც შევიდა ყველა კათედრისა და ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ისინი ესწრებოდნენ გაკვეთილებზე, აკვირდებოდნენ პედაგოგის ძლიერ მხარეებს, გამოკვეთავდნენ გასაუმჯობესებელ საკითხებს და გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე აძლევდნენ უკუკავშირებს.“სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა წერს:,,2023-2024 მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც იზრუნებს გადაჭრას სასწავლო პროცესში წარმოშობილი პრობლემა.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. ურთიერთდასწრების რეფლექსიები;

3. კრიტიკული მეგობრის უკუკავშირები;
4. ხარისხის განვითარების ოქმი;
5. ხარისხის მართვის დებულება;
6. სასკოლო კურიკულუმით განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების მონიტორინგი და შეფასება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. **2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლა თვითშეფასებაში წერს: “ნაწილობრივ ვახერხებთ მოსწავლეების საჭიროების განსაზღვრას, მაგრამ მთლიანობაში ყველა სფეროს გათვალისწინება გვიჭირს.ვფიქრობთ,რომ ამ მხრივ განვითარებას ვსაჭიროებთ, დავესწრებით

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს შეფასების მიმართულებით და ახალის სასწავლო წლიდან დაევალებათ კათედრებს ურთიერთდასწრებისას დაკვირვების საფუძველზე მოახდინონ საკუთარ პრაქტიკაში საუკეთესო გამოცდილების დანერგვა.სწორი ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. **2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. თვითშეფასებაში ვკითხულობთ: "სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებით, ინდივიდუალურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. გათვალისწინებულია აგრეთვე მოსწავლეთა განსხვავებული სოციალურ-აკადემიური უნარები. შეფასება ხდება მოსწავლის უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია მოსწავლის სოციალური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა. "მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. **2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის შექმნის, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით გამოცდილება აქვს რასაც თვითშეფასებაშიც აღნიშნავს. სკოლა თვითშეფასებაში წერს: , პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის და კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის დანერგვისთვის დირექტორის ბრძანებით შეიქმნება ჯგუფები,რომელსაც დაევალება სასკოლო კურიკულუმის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება,ასევე კონკრეტულ ჯგუფს დაევალება კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგი და შეფასება,მონიტორინგისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება. იქნება ჯგუფი რომელსაც დაევალება კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის გადასინჯვა და რევიზია.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა:ესთეტიკური აღზრდის მიმართულების საგნებში მასწავლებლები კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ პროცესების რეფლექსიას, აღწერენ მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. **2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის

განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ სკოლა, თვითშეფასების ფორმაშიც წერს: „სკოლამ ახალ საგნობრივ კურიკულუმებზე დაიწყო მუშაობა და ძველ თემატურ გეგმებსაც ვიყენებთ და ვამატებთ ახალს კომპლექსური დავალების სახით. ამჟამად მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება მასწავლებლების გადამზადება კურიკულუმების შემუშავების მიმართულებით, 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს დაგროვილ გამოცდილებას გამოვიყენებთ კურიკულუმის რევიზიისთვის 2024-2025 სასწ. წლის კურიკულუმში ცვლილებების შეტანა დაეფუძნება წინა წლის გამოცდილებას.“ სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა. **2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები, დირექცია და მშობლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. კათედრის შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმის შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები და ამდენად, გათვალისწინებულია მთელი სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ზოგადი ჩარჩო, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში უფრო მეტად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა და უფრო კონკრეტულად განსაზღვროს და გაწეროს, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. მაგ., მათემატიკის კათედრას კურიკულუმის შემუშავებისას გამოყენებული აქვთ საიტი math.ge. რომელსაც თვითონ ამუშავებენ.
2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, მშობლებთან თანამშრომლობით, მოსწავლეების ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც დადგინდა მათი ინტერვიუს საშუალებით. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ ,,სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის ცალ-ცალკე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივ კურიკულუმებს, სასკოლო პროექტებს, სადამრიგებლო საათს, დამატებით საგანმანათლებლო

მომსახურებას . ასევე მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.“ მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კათედრაზე ინტერვიუს პროცესში რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მუდმივად აქვთ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაცია. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; რეგულარულად ხორციელდება მშობელთა კრებები, არსებობს დამრიგებლის გეგმები, სასკოლო პროექტების (პროექტი „სკოლის მაკეტის შექმნა) და კლუბების (ფიზიკისა და ქიმიის კლუბი „ცისარტყელა“) დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს როგორც მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს, ისე მასწავლებლების ინიციატივებს და წინადადებებს. მაგალითისათვის, კლუბის „ცისარტყელა“ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჩვენებას შემდგომი დისკუსიებით, რითაც საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები გეგმავენ, ხელი შეუწყონ მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოტივაციის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას და საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს გააზრებული აქვთ ამ საკითხის - კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვის - მნიშვნელობა სკოლის განვითარებისთვის. აღნიშნული მტკიცებულებები იძლევა იმის საფუძველს, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმაში, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმში. კერძოდ, კათედრის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. **2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ასახულია, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. იგივეს ადასტურებს თვითშეფასების კითხვარის ჩანაწერი: ,, 2023-2024 სასწავლო წლის დასწყისში საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება მოხდება მშობლებისათვის ჩატარებულ გაერთიანებულ კრებაზე და აგრეთვე გადაეგზავნებათ თიმსის პლატფორმაზე და მესენჯერის საშუალებით“. **2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურუკულუმის ჩარჩო;
2. წრეებისა და კლუბების დოკუენტაცია;
3. გაკვეთილის გეგმა;
4. სასწავლო პროექტი;
5. ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, კონსტრუქტივიზმზე დაშენებული ცოდნის მიღება. საშუალო საფეხურის ყველა საგნის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. საშუალო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი წლიური ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. საშუალო საფეხურის საგნების კურიკულუმის ჩარჩო- ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სავალდებულო თემები, საკითხები და ცნება/ცნებები შევსებულია მართებულად, ასევე სწორად არის ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების იდეები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო რესურსებთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი:

   - ყველა საგნის - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსები სტანდარტულად მოიცავდა ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს; ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში - სახელმძღვანელოს პარაგრაფებს შესაბამისი გვერდების მითითებით; ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილში სასწავლო რესურსად დამატებით მითითებულია ელექტრონული რესურსების ლინკები, CK-12 რესურსები; ვირტუალური ლაბორატორია (phet.colorado);

   - თუმცა არც ერთი საგნის კურიკულუმში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალების შესრულებისას, არ არის მითითებული შესაძლებელი/რელევანტური და სკოლის პრაქტიკაში ადვილად განხორციელებადი სადემონსტრაციო/ლაბორატორიული ცდები (ცდის დასახელება, მოწყობილობები და მასალები);

საბუნებისმეტყველო საგნების - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ვიდეო- და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად რეალურ „ცოცხალ“ ცდებს/ექსპერიმენტებს, ამ საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე. აღნიშნულის და სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები ასევე უნდა დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში. **2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შედეგი. საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და პასუხს იძლევა კითხვაზე: რა მიზნით ისწავლება საგანი? კურიკულუმებში გაწერილი კომპონენტები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება სხვა კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალურ ფუნქციურ უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა დამუშავებაც მოხდება კომპლექსური დავალების ფარგლებში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე მუსიკა და სახვითი ხელოვნება ისწავლება სავალდებულო პროექტების სახით X ან XI კლასში. ამ საფეხურზე ხდება ერთგვარი შეჯამება იმ ცოდნისა რაც დაწყებით და საბაზო საფეხურზე მიიღეს.განხორციელებული პროექტის დროს მოსწვლე შემოქმედებითად წარმოაჩენს თავს და აზუსტებს რამდენად ჩამოუყალიბდა მკვიდრი წარმოდგენები.ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნე, რომ 2022-23 სასწავლო წელს პროექტული სწავლება მიმდინარეობდა მუსიკის საგანში X -კლასში.მომავალ სასწავლო წელს იგეგმება სავალდებულო პროექტების განხორციელება საგან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით.სკოლას აქვს გამოცდილება და როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, გაიზიარებენ უკვე არსებულ პრაქტიკას და არდადეგების პერიოდში აპირებენ მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით მომავალი წლისთვის დაგეგმონ მასწავლებლის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით პროექტული სწავლება საშუალო საფეხურზე. აქვთ მზაობა, გამოცდილება და სწორი ხედვა. კურიკულუმის ჩარჩოებში სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები, მათემატიკაში მოწოდებული კომპლექსური დავალება

ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება *(თუმცა გამოკვეთილი არ არის სამი სამიზნე ცნება).* კათედრას აქვს მზაობა, რომ მოცემულ დავალებებს გამოიყენებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებში განუვითარონ: გლობალური ფუნქციური უნარები, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობოსა და ხასიათი და ნებელობის განვითარებაზე ორიენტირებული. სსკოლაში მოწყობილია აბუნებისმეტყველო მეცნიერებების თანამედროვე კაბინეტი, რომელშიც შეყვანილია წყალი (დამონტაჟებულია ნიჟარები), მოწყობილია სავენტილაციო-გამწოვი სისტემა; არის საპრეპარატო, რომელშიც კარადებსა და ყუთებში მოთავსებულია ექსპერიმენტების ჩასატარებლად საჭირო მასალები და მოწყობილობები. ქიმიის მასწავლებლის მიერ აღნიშნული იყო, რომ X კლასის სავალდებულო თემის „ქიმიური კინეტიკა“ ფარგლებში რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორების განხილვა ხორციელდება ცდებზე დაყრდნობით, აღნიშნული ცდები ყოველთვის იწვევს მოსწავლეთა ენთუზიაზმს, ინტერესს და ხელს უწყობს სამიზნე ცოდნის უკეთ გააზრებას, თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული რესურსები მითითებული არ არის. საბუნებისმეტყველო საგნების - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვა, ამ საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა მოიცავდეს ვიდეო- და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად რეალურ ცდებს/ექსპერიმენტებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ ხარვეზები მომავალი სასწავლო წლისთვის გასწორდება და კურიკულუმებს სრულყოფილ სახეს მისცემენ.

შერჩეული კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. ამასთან, პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა იმუშავებს არსებული უზუსტობების გასწორებასა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ

მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწვალა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა მათ მიერ განვლილი ტრენინგების დროს შეიძინეს ცოდნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა. გარდა ამისა, საშუალო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ შეფასებას , ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-12 კლასის ჩათვლით. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლა იყენებს სოლო ტაქსონომიით შეფასებას კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა (მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, მე-12 კლასის ჩათვლით) და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი - განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც- უნდა ემსახურებოდეს ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები. **2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებს წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს,

რომლის მოგვარებასაც სექტემბრიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში.

2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- სასწავლო პროექტი;
- გაკვეთილის გეგმა;
- წრეების და კლუბების დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, ,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. სკოლა კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების განხორციელებით ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სკოლაში ფუნქციონიონირებს სხვადასხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე.“ სკოლის თვითშეფასებიდან ვგებულობთ,რომ სკოლაში ფუნქციონირებს მუსიკის წრე „ჰარმონია“ და კლუბი „ქართული საგალობელი“, ამ ინფორმაციას ამტკიცებს წარმოდგენილი კლუბ-საგალობლების სამუშაო პროგრამა, რომელშიც დეტლურადაა გაწერილი სამუშაო პროგრამა, სამიზნე ჯგუფი, კლუბის მნიშვნელობა და აქტუალობა კლუბის მუშაობის მიზანი და კლუბის სამუშაო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე მუშაობისას უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და საგნობრივი კურიკულუმების

დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. შეეცდებიან, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ, დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. ასევე დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლა ჩართული იყო USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ახდენდენ ურთიერთდასწრებას, კომპლექსური დავალებების განხილვას და შესაბამისად, მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას იყენებენ კომპლექსურ დავალებებში კონსტრუქტივიზმის პრონციპების გასათვალისწინებლად. **2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს სწავლის სწავლაზე სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდების შესახებ, იყენებენ ტრენინგებსა თუ მასტერკლასებში მიღებულ ცოდნას, კითხულობენ შესაბამის ლიტერატურას, თავიანთ გამოცდილებას წერისა და კითხვის სტრატეგიასთან დაკავშირებით უზიარებენ მშობლებს. მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს აუხსნან და გააგებინონ როგორ უნდა ისწავლონ, დაგეგმონ და შეძლონ მიღწევების შეფასება, როგორ დაინახონ პროგრესი საკუთარ წინსვლაში.“ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმართავენ სხვადასხვა მეთოდებს. მაგ. გამსვლელი ბარათები, მოსწავლის თვითშეფასება, მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. ასევე საშუალო საფეხურიზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის

დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საშუალო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად აკეთებენ სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, თვითშეფასების სქემები (თვითრეგულირებული სწავლა), ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი აისახება საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო პროექტებში; მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, რადგან კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები. თავის მხრივ, კომპლექსური დავალების განხორციელება მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია მის მიერ განვლილი ნაბიჯების შესახებ. ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლა თვითშეფასების ფორმაში წერს: „სასწავლო პროცესი ორიენტირებულია, რათა მოსწავლეებმა მიიღონ ის ცოდნა, რაც მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების ცოდნას. ამასთანავე, სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა უნდა იძლეოდეს მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლები იღებენ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას თუ როგორ იმოქმედონ განსხვავებულ სიტუაციებში. მიღებული ცოდნით მოსწავლეებს შეუძლიათ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობა და შესაძლებლობა აქვთ მიღებული ცოდნა სხვადასხვა კონეტქსტში ადეკვატურად გამოიყენონ.“ ამას ადასტურებს ინტერვიუ

მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ და მსჯელობენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად, აღწერეს რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე "რატომ ვისწავლე ეს თემა?", აღნიშნეს ,რომ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას. სკოლას საშუალო საფეხურის კლასების კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები. **2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კათედრას ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები თემატურადაა დაგეგმილი, ასევე, კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. საშუალო საფეხურზე კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს, ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საშუალო საფეხურზე ქმნიან საჯარო გამოსვლის ტექსტებს, არგუმენტირებულ ესეს, წერენ თხზულებებს, მოთხრობებს და ა.შ. სასწავლო პროცესში მოსწავლე არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს, უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, რომლის ამსახველი დოკუმენტაცია სკოლამ მრავლად წარმოადგინა. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;;
- საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია,

რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. გასაუბრებისას პედაგოგებს მიეცათ რჩევები კურიკულუმის დახვეწისა და განვითარებისათვის. საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლაში მოქმედი სასკოლო კურიკულუმი შექმნილია იმგვარად, რომ მოსწავლეს მეხსიერებაში ხანგრძლივად, მკვიდრი წარმოდგენებს სახით დარჩეს ის ნასწავლი ინფორმაცია, რომელზეც მან სიღრმისეულად იმუშავა. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. **2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი- სიკეთე გადამდებია, დაუნის სინდრომი, აუტიზმი არ არის განაჩენი, მოვეფეროთ მოხუცებს და სხვ. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება, კლასგარეშე აქტივობები, ექსკურსიები, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგებმა დაასახელეს რამდენიმე ღონისძიება, რაც უთუოდ ეხმარება მოსწავლეს ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. **2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის მოსწავლეთა შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად ისეთი რუბრიკების შექმნას, სადაც მოსწავლეები საკუთარ ცოდნაზე იფიქრებენ, თავად იქნება საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში შეუწყობს ხელს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. თვითშეფასებაში სკოლა წერს: „მოსწავლის ჰოლისტური შეფასება სწავლის ხელშეწყობის აუცილებელი წინაპირობაა. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლის საგანმანათლებლო უნარები და შეაფასოს მისი აკადემიური, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური, ენისა და მეტყველების, მოტორული და ადაპტური სფეროების მიხედვით.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სწორი ხედვა აღნიშნულიდან გამომდინარე. პედაგოგები 20203 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ სოლო ტაქსონომიით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს და შემდეგ გააანალიზებენ მას. **2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუდან ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ შეფასების რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ამ ეტაპზე სკოლას ნიმუშად აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწავლების გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით; თუმცა მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის ერთობლივად გეგმავენ შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს (შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები, სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი, მყისიერი უკუკავშირი)“. სკოლა თვითშეფასებაში წერს: „შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მაქსიმლურად ვცდილობთ, რომ შეფასების სისტემა იყოს სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მოსწავლის შეფასება ხდება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები შემუშავებული გვაქვს კათედრებზე, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში, შეფასების სისტემის შეცვლას საჭიროების შემთხვევაში კათედრის სხდომებზე განიხილავენ მასწავლებლები. ვაპირებთ დავამატოთ აქტივობები (დიაგნოსტიკური ტესტი, სემესტრული ტესტი), იმისათვის, რომ შეფასება გახდეს ობიექტური, სამართლიანი“ სკოლას აქვს სწორი ხედვა. **2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სკოლას აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლის დირექტორი, კათედრები და სასკოლო საზოგადოება სათანადოდაა ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც რეგულირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. **2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადასცემს ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრაზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

4. შეფასების რუბრიკები;
5. თვითშეფასების ფორმა;
6. პედაგოგიური საბჭოს ოქმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში ძლიერ მხარედ ასახელებს მაღალ თანამშრომლობით კულტურას რომელზეც სასწავლო პროცესი ეფუძნება და აღნიშნავს: „კათედრის წევრებს ხშირად გვაქვს შეხვედრები, სადაც განვიხილავთ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, ვიღებთ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება გვაქვს ბავშვებთან, სკოლაში იქმნება პოზიტიური გარემო. მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო-სოციალურ პროექტებში, რაც ხელს უწყობს თემთან ურთიერთობას.“ ამ ჩანაწერს ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ: ურთიერთდასწრების რეფლექსიები, კრიტიკული მეგობრის უკავშირები, რომლის მიხედვითაც ჩანს მასწავლებლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორ ესწრებიან გაკვეთილებზე ერთმანეთს, ახდენენ დაკვირვებას, გამოკვეთენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და შესაბამისად აძლევენ რჩევებს კოლეგებს. სკოლაში კარგად მუშაობს ,,კრკიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს ამ სახის თანამშრომლობითი კულტურის შესახებ. **2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში

ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის კონკურსებსა და პროექტებში იღებენ მონაწილეობას. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლაში არსებული მრჩეველთა საბჭო აქტიურადაა ჩართული მოსწავლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებას. სამომავლოდ ეცდებიან, გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ: „სასკოლო კათედრები გეგმავენ ერთობლივ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. ასევე, წლის განმავლობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, როგორც „კრიტიკული მეგობარი“ და აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. აგრეთვე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში.“სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მასალები და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, რომ ურთიერთანამშრომლობის კულტურის ამაღლების მიზნით მასწავლებლები ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების დაგეგმვა ხდება ერთობლივად, აქტიურად იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს“ ძალიან ხშირად გეგმავენ კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებს. მასწავლებლები კათედრებზე და კათედრებს შორის გამოცდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ, წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეესაბამება სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. შეფასების რუბრიკები;
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
5. ურთიერთდასწრების რეფლექსიები;
6. კრიტიკული მეგობრის უკუკავშირები;
7. ხარისხის განვითარების ოქმი;
8. ხარისხის მართვის დებულება;
9. მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასებისთვის სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების

კვლევა-ანალიზი. ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კონკრეტულად გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლა თვითშეფასების დროს აღნინავს „სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების მექანიზმი, სასწავლო პროცესის შეფასებისა და ურთიერთდახმარების მიზნით დაიგეგმა გაკვეთილებზე დასწრება, შედგა გრაფიკი, შეიქმნა ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელშიც შევიდა ყველა კათედრისა და ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ისინი ესწრებოდნენ გაკვეთილებზე, აკვირდებოდნენ პედაგოგის ძლიერ მხარეებს, გამოკვეთავდნენ გასაუმჯობესებელ საკითხებს და გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე აძლევდნენ უკუკავშირებს.“სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კერძოდ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში?(მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი?(შეფასება). თვითშეფასების დოკუმენტში სკოლა წერს:,,2023-2024 მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც იზრუნებს გადაჭრას სასწავლო პროცესში წარმოშობილი პრობლემა.“ სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
3. ურთიერთდასწრების რეფლექსიები;
4. კრიტიკული მეგობრის უკუკავშირები;
5. ხარისხის განვითარების ოქმი;
6. ხარისხის მართვის დებულება;
7. სასკოლო კურიკულუმით განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების მონიტორინგი და შეფასება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მომავალი საწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდებით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს: სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. შეფასების შედეგად უნდა გაირკვეს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: „შეფასება ხდება პროექტის, პრეზენტაციის, ესეს, შემაჯამებელი ტესტური დავალების, ჯგუფური, წყვილებში, ინდივიდუალური მუშაობის შეფასებით, გამსვლელი ბარათებით, რასაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ, შებრუნებული სასწავლო ოთახი, მოსწავლის მიერ თვითშეფასება,თანაკლასელის შეფასება. სწავლების დროს შეფასების მრავალფეროვანი

მეთოდების გამოყენება მასწავლებელს აძლევს საშუალებას შეაფასოს მოსწავლე ობიექტურად“ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და სწორი ხედვა. **2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას, სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; სკოლა თვითშეფასებაში წერს: “ნაწილობრივ ვახერხებთ მოსწავლეების საჭიროების განსაზღვრას, მაგრამ მთლიანობაში ყველა სფეროს გათვალისწინება გვიჭირს.ვფიქრობთ,რომ ამ მხრივ განვითარებას ვსაჭიროებთ, დავესწრებით პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს შეფასების მიმართულებით და ახალის სასწავლო წლიდან დაევალებათ კათედრებს ურთიერთდასწრებისას დაკვირვების საფუძველზე მოახდინონ საკუთარ პრაქტიკაში საუკეთესო გამოცდილების დანერგვა.სწორი ხედვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა. **2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სასკოლო-სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. თვითშეფასებაში ვკითხულობთ: “სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებით, ინდივიდუალურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. გათვალისწინებულია აგრეთვე მოსწავლეთა განსხვავებული სოციალურ-აკადემიური უნარები. შეფასება ხდება მოსწავლის უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია მოსწავლის სოციალური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა. “მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. **2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
4. კურიკულუმის შემუშავებს მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას კურიკულუმის შექმნის, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით გამოცდილება აქვს რასაც თვითშეფასებაშიც აღნიშნავს. სკოლა თვითშეფასებაში წერს: , პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის და კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის დანერგვისთვის დირექტორის ბრძანებით შეიქმნება ჯგუფები,რომელსაც დაევალება სასკოლო კურიკულუმის დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება,ასევე კონკრეტულ ჯგუფს დაევალება კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგი და შეფასება,მონიტორინგისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება. იქნება ჯგუფი რომელსაც

დაევალება კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიის გადასინჯვა და რევიზია.ინტერვიუს დროს გამოიკვეთა:ესთეტიკური აღზრდის მიმართულების საგნებში მასწავლებლები კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად მომავალი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ პროცესების რეფლექსიას, აღწერენ მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. **2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ სკოლა, თვითშეფასების ფორმაშიც წერს: „სკოლამ ახალ საგნობრივ კურიკულუმებზე დაიწყო მუშაობა და ძველ თემატურ გეგმებსაც ვიყენებთ და ვამატებთ ახალს კომპლექსური დავალების სახით. ამჟამად მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება მასწავლებლების გადამზადება კურიკულუმების შემუშავების მიმართულებით, 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს დაგროვილ გამოცდილებას გამოვიყენებთ კურიკულუმის რევიზიისთვის 2024-2025 სასწ. წლის კურიკულუმში ცვლილებების შეტანა დაეფუძნება წინა წლის გამოცდილებას.“ სკოლას აქვს მზაობა და სამომავლო ხედვა. **2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
2. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
3. სასკოლო-სასწავლო გეგმა;
4. საგნობრივი კურიკულუმები;
5. შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





25.09.2023წელი
თარიღი